ლილა ლაკვილია

ვაზეს თქვენ ყყვარხართ. ბავშვებო!

„ნაკადული“, თბილისი, 1990

84Гр—7.5
Ь 839

ბ ა ვ შ ვ ე ბ ო!

ლიდა სტვილიას ლექსები გაგაცნობთ და შეგაყვარებთ ყველაფერს, რასაც ირგვლივ ხედავთ: მზეს, ცას, ველ-მინდვრებს, ცოველებს, ადამიანებს.

ავტორი სწვდება თქვენს განცდებს, იცის, რაზე ოცნებობთ, რა გახარებთ ჩვენი ქვეყნის მომავალ მშენებლებს.

© „ნაკადული“, 1990

70802 — 51
С ———————— 27—90
М-603(08)—90

ISBN 5—525—00357—0

ბალი
დავწიფებულა

მე და ბელურა

ბალი დამწიფებულა,
ბალი დამწიფებულა,
აქეთ ტოტზე მე ვზიავარ,
იქით ტოტზე — ბელურა.

გავხდი უკვე ბაღელი

შემიყვანა დედამ ბაღში,
უკვე გავხდი ბაღელი!
შემასწავლეს ბევრი ლექსი
სათქმელი და სამღერი.

ფ ი ს ო

ფისო, ფისო, ფისო
სახურავზე ზისო,
თაგუნია დაიჭირა,
ძირს არ ჩამოდისო.

მონადირე

მონადირე ბიჭი ვარ,
მგელს და ტურას ვკლავ,
ბაბუ მიქებს თოფს,
ბებო მიქებს მკლავს.

ბლის ხე

ბაღში ბლის ხემ მხოლოდ იმ
ბავშვს
დაუმწიფა კუნწულა...
ვინც არ არი ზარმაცი,
თავნება და წუწუნა.

ფალავანი

დათვმა რომ არ წამაქციოს
მე — პატარა ფალავანი,
მუთაქებით, ბალიშებით
გამიშენეს გალავანი.

ყანაში

თითო ძირ სიმინდზე
ვტეხავ ტაროს ორ-ორს...
ნედლი ტარო მე და...
ხმელი ტარო გოდორს...

მზია

მზია, თუ არ გაბეჯითდი,
არ ისწავლე კარგად წერა,
დაგტოვებენ იმავ კლასში
და თინიკოც დაგეწევა.

ტაში, ტაში

ტაში, ტაში, ტაში,
ტაში, ტაში, ტაში,
მდინარეში დამბანეთ,
არ ვეტევი ტაშტში.

ბროლის გოგო გახდები

— თვალი, თვალი, თვალიო,
თვალი მეწვის, ბებიო...
რად გამსაპნე მესამედ,
არ შეგირიგდებიო...

— ისე ჭუჭყიანი ხარ,
სამჯერ წასმაც არ კმარა,
აგერ ქაფი ქანქალა,
აგერ წყალი ანკარა.

ისე დაგბან, გაგფერავ,
თუ არ ახტებ-დახტები,
რომ ამოხვალ ტაშტიდან,
ბროლის გოგო გახდები.

ციყვის ოჯახში

დედა ციყვმა ფულუროში
გაახურა ბუხარი:
თხილი ააჩხრიალა,
ძველი,
ნაყარნუყარი...

აგუგუნდა მამა ციყვი:
— ვოისარადა, ვოისა...
წელს ცხრა შვილი მეყოლება,
ყველას გვერდით მოვისვამ...
აშრიალდა თხილის ბუჩქი:
— მაშინ მეც ბევრს მოვისხამ!

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

ვორუდილა, ვადილა,
რა დილაა, რა დილა...
ნუშის ყვავილს ჰკოცნიან
ჯამაზი და დალილა.
ტყემლის რტო ყვავილებად
გაპენტილა ამ დილას.
ყველა ბუჩქს აფენია
ყვავილები მანდილად.
ყვავილები დაფარავს
ჩემს სამშობლოს ნამდვილად.
ვორუდილა, ვადილა,
რა დილაა, რა დილა...

ზურია და ენძელა

— წამო, წამო ჩემს ბაღში,
ტყე-ღრეში რომ ფოფინობ...
— ვერ წამოვალ,
სურნელი
ამ ტყეს უნდა მოეფინო.

ყველა თავისებურად

გია — წრიალ-წრიალით,
ლია — კაბის ფრიალით,
სახლის კარი — ჭრიალით,
მტრედი — ფრთების შრიალით,
ნაკადული — ჩქრიალით,
წყარო — წკრიალ-წკრიალით,
მზე — სხივების ცქრიალით,
ელვა ჭექა-ქუხილით
მთიდან მთაზე გადაჰქუხს,
ყველაფერი ზეიმით
ეგებება გაზაფხულს.

მ ა რ ტ ი

რა მცინარა,
რა მტირალა,
რა მღიმარა მარტია,
გაუშლია ენძელა,
ია გაუბანტია.

ნელი და აბრეშუმის ჯია

გააბი და გამოაბი
ოქროსფერი ქსელი.
პარკუჭანა მოიქსოვე
უჩინარი ხელით.

შეხვედი და ჩაიკეტე,
მე დამტოვე გარეთ...
ასე მალე რატომ დამთმე,
ცუდად მოგიარე?

თ ხ უ ნ ე ლ ა

ბაღ-ბოსტანში,
ბაღ-ბოსტანში
ცხოვრობს ერთი თხუნელა.
გაასუქა,
გაალაღა
ბოსტნეულის სურნელმა...
ოცდაათი გვირაბი
გაიყვანა სულ ნელა,
მიეპარა მახრებს და
ყველას მზე დაუბნელა.

ტ ყ უ პ ე ბ ი

ჩამოვედი ქალაქიდან,
გავახარე ბებია.
შეხეთ, ერთურთს ტყუპი

მსხლები
როგორ მიხუტებიან.
ბაბუამ თქვა: — ძმებია,
ბებიამ თქვა: — დებია!
პირსაც ერთად იბანენ,
მზეზეც ერთად თბებიან,
ჩიორამ თქვა: — ერთმანეთს
სულ არ ეჩხუბებიან.

ერთი ვაშლი

მწიფე ვაშლი გაგორდა და
მწვანე მოლზე წითლად ელავს;
— არა შენ და არა მეო, —
მწიფე ვაშლი უნდა ყველას.

გიგო პაპას ქარქაშიდან
დაიძახა დანამ ხელად:
— შვიდფერია ცისარტყელა,
შვიდი ხართ და შვიდ ნაწილად
მე გაგიყოფთ ამ ვაშლს ყველას!

ერთი — ამას, ერთი იმას,
ერთი — ნანას, ერთი — ლელას...
ერთიც — დანის პატრონ პაპას,
ერთი ვაშლი ერგო ყველას!

წაგბაძავენ ცინდლები

ფისო,
ნერწყვით პირს რად იბან?
წაგბაძავენ ცინდლები...
ნუთუ წყალი ვერ იშოვე,
პირს რომ დაგბანს, იმდენი?

* * *

გაიტაცა მურიამ
ფისოს ყველის ფინჩხალი.
— დამიბრუნე, სად მიგაქვს? —
ფისუნია მისჩხავის.

„ალუ“ ჩემი სიმღერაა

დილა რომ გათენდება,
„ალუ-ალუს“ ვიწყებ...
„ალუ“ ჩემი სიმღერაა,
აკვანს დედა მირწევს.
„ალუ-ალუ“ — ჩიტებსაც
სასიმღეროდ ვიწვევ,
ხომ გათენდა, გავიღვიძე,
ჩუმად რატომ ვიწვე?!

მ უ რ ი კ ე ლ ა

მურიკელა, მურიკელა,
მომაწოდე წინა თათი,
ხომ ხედავ, რომ ჩამოვედი,
ადე, ხელი ჩამომართვი.

ბურთი

აქეთ დარო, იქით გელა,
ახტა, დახტა დიდი ბურთი
და ბაღჩაში ჩასასვლელად
არ დასჭირდა ერთი წუთი.
გოგრებს გვერდით მიუჯდა და
არხეინად იგრძნო თავი...
აერია შავ გოგრებში —
ბურთს ვერ მოჰკრა ბიჭმა თვალი.

ჩემო პაწია!

„სიარულსაც გასწავლიან
მალე, ჩემო პაწია,
ლაპარაკსაც გასწავლიან,
ვაჟკაცადაც გაგწვრთნიან“...
ჩამომძახა ჩიტუნამ და
ფრენა-ფრენით გასწია.
დედამ ნანა მიმღერა და...
ისევ გადამარწია.

ეშმაკი თიკანი

არ მინდა, რომ ძილისგუდა
ფისოს ძილი დავაცალო,
ამოვედი აივანზე
საბაკუნოდ, საბანცალოდ.

ბია და ყვავი

ჩამოვარდა რკო,
ყვავმა წაიღო;
იმ ყვავს თოფით მოკლავს
ჩემი მამიკო.

თაგვი კაკლის გორაზე

    სავსე კალათს ვარია
    დააფრინდა კაკანით;
    კალათიდან ჩხრიალით
    გადმოცვივდა კაკალი.
თაგუნიამ აივნის
კარი უცბად ჩარაზა:
— ციყვებისკენ კაკლები
არ გაჰყვნენო შარაგზას.
    თაგვი კაკლის გორაზე,
    დაბრძანდა და განაზდა.
    დიდი სარჩოს პატრონი
    ულვაშს იგრეხს ლამაზად...
— ვაკნატუნებთ დღედაღამ,
იმ კუთხიდან მოვყვებით...
„ვარჰალალეს“ ვიმღერებთ
მე და ჩემი მოყვრები...

თოვლის კაცი

ფრ... ფრ... ფრ... ფრ... ფრ... მოფრინდა
თოვლის ფიფქი მაღალ ციდან...
დაჰქროდა და... თუთას თოვლი
რაც კი ედო, დამაცვივდა...

ვივლი თეთრად გაბუმბლული,
აღარ მინდა თოვლის გაცლა,
რა კარგია,
შემომხედეთ,
ხომ ვიქეცი თოვლის კაცად?!

დათვი შვილიშვილებში

ჰარალალი ჰარლალოდა,
ჰარალალი ჰარლალოდა,
წაბლს ხარშავდა ბებო დათვი,
შვილიშვილებს დაჰხაროდა.
— ბარბალობა, ბარბალობა,
ჩემი მჭადის გვარგვალობა,
ჩემი ბეჩოს ამღერება
შეშითა და ნაქურჩელით.
ზრდა, ჯანი და კარგად ყოფნა
ჩემი თოთო დათუჩების.

ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ დ ა

ფარჩა-ფურჩა,
ფარჩა-ფურჩა
ენძელები გაიფურჩქნა...
მხვდება გზა-გზა
ფურისულა
თითო-თითოდ,

ხან ქუჩ-ქუჩად.
    გაზაფხულის
    სურნელებით
    ავსებულა
    ტყე და ქუჩა.

ჩემი ციგა

    ფანტელები,
    ფიფქები,
    მოფრინავენ ციდან,
    ჩამოვიღე სხვენიდან
    ჩემი ძველი ციგა.
ვწმინდე,
ვწმინდე,
გავწმინდე,
მოეწონა ცინდალს.
უმალ სველი თათებით
დაასკუპდა ზურგზე,
მოაქროლებს თავქვე,
მე ვდგავარ და ვუმზერ...
კმაყოფილი ცინდალი
თათებს იცემს გულზე.

გაზაფხული მოვიდა

გაზაფხული მოვიდა
თბილი,
სხივებკაშკაშა,
მოლი ამობიბინდა,
    ია ამოფარფაშდა.

გაუმარჯოს იებით
ველ-მინდვრების მოფენას...
მოჭიკჭიკე მერცხლების
სამშობლოში მოფრენას.

ალაბულა-ალაბულა...

ალაბულა,
ალაბულა,
რა თბილია
ჩალაბულა!
ტყეში ტურა
კიოდა და...
მურა მიტომ
არ დაბმულა...
დიდი მგელიც
მურას შიშით
მის ბუნაგში
განაბულა...

მთელი ღამე უთოვია,
არემარე დაბამბულა!

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

უკვდავების წყაროებით
უბესავსე მთავ და მდელოვ,
მზენათელო, ცანათელო,
თვალნათელო, გზანათელო...
შენი ამერ-იმიერით
იმზეგრძელე, საქართველოვ!

ბროლის ჩურჩხელები

სახურავზე ჰკიდია
ჩურჩხელები ბროლის...
ოცი, ორმოცდაათი,
განა ერთი, ორი...
— ვინ გვიკიდებს ჩურჩხელებს?
— ვინ და... ბებო თოვლი.

ფ ი ფ ქ ი

ფიფქი, ფიფქი, ფიფქელა
მაღლა ცაში იფქვება...
მერე ფარფატ-ფარფატით
ველ-მინდვრებზე იფრქვევა...
დაბლა ხორბლის წისქვილი გვაქვს,
მაღლა თოვლის იქნება...

ჩ ა ი დ ა ნ ი

— გოგო, ნანა, თავსახური
დაახურე ჩაიდანს!
— თავზე რომ არ დავახურო,
შესცივდება, მამიდა?
— კი არ შესცივდება, მაგრამ
რომ ჩაცვივდეს მტვერი?
რომ ჩაფრინდეს მწერი?
ფისუნიამ რომ ჩაჰყოს
ულვაში და წვერი?

ხარის ჩივილი

ჩივის ხარი რქებმაღალი:
— შემიცვალეს ჩვეულება...
ტრაქტორი ხნავს,
მე კი ვცხოვრობ
კავ-ულელში შეუბმელად...

არ მაძლევენ სახნავ მიწას,
გავხდი უქმად მაჩანჩალა...
ტრაქტორების მოწეული,
როგორ ვჭამო ხარმა ჩალა?

დაიჭირეს მელა

დელი-დელა, მე და დათომ
დავიჭირეთ თეთრი მელა.
დაბმულ სტუმარს, მელა სტუმარს
წინ დაუსხდნენ თეა, გელა,
ჰკითხეს: — ხომ არ მოგეწყინა
ჩვენთან ყოფნა, მელიაო?
— თუ გამიშვებთ, იზამთ მადლსა —
შინ შვილები მელიანო.

ჩიტი ღაჟო

თოვლით, თოვლით, დიდი თოვლით
გაფუმფლულა ხე და ჩირგვი...
შემოფრინდა აივანზე
მობუზული ღაჟო-ჩიტი...

ახლა, ღაჟო ძაღლის ცხვირწინ
ფინჩხის კენკვით გართულია...
— კენკე, კენკე... ჩიტუნია...
პირს არ გახლებს ბახულია.

ჩ ა ი შ ი...

წკიპ,
წკაპ,
წკიპ,
წკაპ...
იკრიფება კვირტები,
ზოგი დედის თითებით,
ზოგიც ჩემი თითებით...
მე, დედიკოს კალათში
ჩუმ-ჩუმად ვიჭყიტები...
— ჯერ შენ დედას ვერ აჯობებ, —
ჟღურტულებენ ჩიტები.

ციცუნია ვეღარ ციცობს

ციცუნია ცაციცაო,
ციცუს ტახტი წაიქცაო,
დააგლიჯეს ულვაშები
თეთრიცა და შავიცაო...

ახლა ციცუს თაგვმა კობრის
ლიფსიტელაც არ მისცაო,
ის კი არა, ციცუს ჩოხაც
თაგუნიამ ჩაიცვაო...

— რის კატა ხარ,
შენი შიშით
თაგვი თუ არ გაიქცაო?..
ციცუ, შენი დაბადების,
გაჩენის დღე დაიქცაო.

მურა და მწყემსი ბიჭი

— მურა ჩემი ძმობილია,
მურა ჩემი ძმობილია,
მე და მურას ასხის მთები
ცხრაათასჯერ მოგვივლია.

მწყემსებთან და საქონელთან
მთაში ყოფნას რა სჯობია?..
ასხის მთებში ვაბალახებთ,
რაიონში რაც ჯოგია.

აქეთკენ რომ ღაჟო უსტვენს,
იქით, ხევში გალობს შაშვი,
ქვიდან ქვაზე ტალღებსკუპა
მითამაშობს წყარო ფშანში.

მე და მურა ჩვენს შავ ნაბადს,
სადაც გვინდა ხელად გავშლით...
ვინც არ დადის მთაში მწყემსად,
მეცოდება ყველა ბავშვი.

რუჭუ, რუჭუ

რუჭუ, რუჭუ რომელშია...
რუჭუ, რუჭუ რომელშია...
— ამ ხელს დავკრავ, — იმაშია...
იმ ხელს დავკრავ, — ამაშია...

რუჭუ, რუჭუ, სად ხარ, რუჭუ,
ბელელში თუ თავლაშია?
ზვინში ზიხარ, სხვენზე ზიხარ?
გოდორში თუ მარანშია?
ვერ გიპოვი, პატარები
სანამ მუჭებს არ გაშლიან...
მზია სულ შენს ძებნაშია,
გია სულ შენს მალვაშია...
რომელ მუჭში ზიხარ, რუჭუ?
მარცხენაში?
მარჯვენაში?
ვინც გიპოვის, სად ხარ რუჭუ,
ის იქნება მარჯვე ბავშვი.

რუჭუ, რუჭუ რომელშია,
რუჭუ, რუჭუ რომელშია,
ამ ხელს დავკრავ, — იმაშია,
იმ ხელს დავკრავ, — ამაშია...

ციცქნა რუჭუ ართობს ბავშვებს
დარშიაც და ავდარშიაც...
დღე და ღამე თამაშობენ,
ისე კარგი თამაშია...

რა ბებერი ეყავთ?!

რვა მარტია, მაგრამ დედას არ სცალია

დედას ლურჯი კაბა
იის ნაცვამია...
დედას ყელზე მძივად
ოფლის მარცვალი აქვს...
ოფლად დასცვენია —
მინდვრად რაც ცვარია.

დედამ გამოაცხო,
რაც აქ ნამცხვარია...
რვა მარტია, მაგრამ
დედას არ სცალია...

სულ საქმე აქვს დედას:
ეზო, სახლი, ბალღი,
იქით — საქონელი,
აქეთ — ყანა, ბაღი...

სად სცალია დედას,
რომ მიუჯდეს სარკეს...
დედას ჰყოფნის, სურნელს
ყვავილი რომ აკმევს...

ცალკე ჩვენ ვღლით დედას,
სამსახური ცალკე,
მაგრამ დედას მაინც
შრომა ვერას აკლებს!

გემრიელს და გულუხვს,
ქათქათას და სუფთას
ჩიტიც რძეს არ აკლებს
დედას გაშლილ სუფრას.

დედამ გამოაცხო,
რაც აქ ნამცხვარია,
რვა მარტია, მაგრამ
დედას არ სცალია!

ბებოს სიმღერა

ფეხი რომ წამოგკარი,
ფიჩხო გადატეხილო,
ბებომ ასე მიმღერა:
— მელაკუდას ეტკინოს;
მგელს ეტკინოს კუდიგრძელს,
სოროს გვერდით მოუჯდეს...
ფეხი ტურას ეტკინოს,
ჩემს პატარას მოურჩეს.

დედა კატა და თხები

ზედ კიბეზე დაეჯახა
თხა-ბეკეკა თხა-ბეკეკას...
დაინახა დედა კატამ
და კარები გამოკეტა...

ციცუნები ტასტქვეშ შეძვრნენ
და კნავილით სახლი შეძრეს!
ჩივის კატა:
— შვილის გაზრდას
სხვა რამითაც კარგად შევძლებ...
მაჩხუბრები გამომივლენ, —
არ შევასმევ შვილებს თქვენს რძეს!

ჩვენი ბებო

ჩვენი ბებო ისეთია,
სულ არა ჰგავს ბებიას,
წელმოხრილი არ დადის,
და არც თეთრი თმები აქვს...

ნაოჭებიც არა აქვს,
არ აკლია კბილებიც,
მაგრამ ბებო რომ არი, —
ვიცით დანამდვილებით.

ძილის კაცი

ტყეში ცხოვრობს ძილის კაცი
და გამოდის ნელა
საღამოთი,
ღამღამობით,
როცა უკვე ბნელა...
აბა, ჩქარა დედიკოებს
ჩავეხუტოთ ყველა!
ჩქარა, ჩქარა უკვე ისმის

ლაწალუწი ღობის:
— ძილის კაცი,
ძილის კაცი,
ძილის კაცი მოდის!
ფრთხილად, ფრთხილად გამოვუღოთ
კარ-ფანჯრები ოდის! —
ჩამომჯდარა ძილის კაცი
წითელ ვაშლის ძირას
და კითხულობს:
— ეს ვინ ტირის?
ეს ვის არა სძინავს?
ჩიტებს სძინავთ, ქათმებს სძინავთ,
თხებსაც ღობის ძირას...
თქვენ რას უცდით,
რად არ გძინავთ:
მზია, გია, ცირა?..
რძე დალიეთ, დაიბანეთ,
მოეფერეთ პაპას,
დაწექით და ძილის კაცი
მოგიყვებათ ზღაპარს.

ალიხე, მალიხე

ალიხე, მალიხე,
ალივარა ლალიხე,
ოცდაათი ჩომარა
წაბლი მომცა წაბლის ხემ!

ბაყაყია ყიყინაძე

სულ რომ ჭყივის, ამიტომაც
ეოჭი გახლავთ ჭყივილაძე!
სულ რომ კივის, ამიტომაც
ჭოტი არის კივილაძე.
სულ რომ ჩხავის, ამიტომაც
ჩხიკვი გახლავთ ჩხავილაძე!
სულ რომ კნავის, ამიტომაც
კატა არის კნავილაძე!
სულ რომ ბღავის, ამიტომაც
ძროხა არის ბღავილაძე.
რომ ჭიჭყინებს, ამიტომაც
თევზი არის ჭიჭყინაძე!
რომ ჭრიჭინებს, ამიტომაც
ჭრიჭინაა ჭრიჭინაძე!
რომ სისინებს, ამიტომაც
ბატი არის სისინაძე!
წარამარა რომ ყიყინებს,
ბაყაყია ყიყინაძე.
მოუსმინეთ, ბავშვებო:
ჰოდა... ხმების მიხედვით,
რომელი რა ცხოველია,
რომელი რა ფრინველია,
სულ იოლად მიხვდებით!

რა ბებიკო მყავსო!

რა ბებიკო მყავსო,
რა ბებიკო მყავსო,
მალე რომ გავიზარდო,
დღეში ორჯერ მბანსო.

— ჭუპა-ჭუპა თავსო, —
და დამასხამს წყალსო.
— ჭუპა-ჭუპა ტანსო, —
კვლავ დამასხამს წყალსო.
— ჭუპა-ჭუპა ლოყებს,
ჭუპა-ჭუპა ცხვირსო. —
მახვანჭალებს, წყალი
ტირილს არ მაცლისო.
— ჭუპა-ჭუპა ხელსო,
ჭუპა-ჭუპა ფეხსო,
ჭუპა-ჭუპა პირსო,
ოქროს თმებს და მხრებსო...
ჭუპა-ჭუპა თითებს,
ჭუპა-ჭუპა ფრჩხილსო,
ჭუპა-ჭუპა ცუცნა,
პაწაწინა ჩვილსო...
ჭუპა-ჭუპა ტერფსო,
ჭუპა-ჭუპა კოჭსო,
ჭუპა რძით გატიკნილ
ნემს პატარა გოჭსო.
ჭუპა-ჭუპა ყურსო,
ჭუპა-ჭუპა თვალსო,
ჭუპა-ჭუპა ციცქნა
აკვნის „დედოფალსო“!
მშვიდიც არის, მკვირცხლიც
მტრედს და მერცხალს ჰგავსო...
გაიზრდება, აგვივსებს
სიმღერებით ბანსო!

რა მამიკო მყავსო!

რა მამიკო მყავსო,
რა მამიკო მყავსო...
კარუსელზე წამიყვანს,
ცირკში წამიყვანსო.

შაქართუთას მაჭმევს,
ჟოლოს და მაყვალსო,
ქორს და ძერას იჭერს,
მგელს და ტურას კლავსო.

ჩაგვიხუტებს ყველას,
ერთს რომ გაშლის მკლავსო.
ყოველლამე ზღაპარი
მამამ უნდა თქვასო.

თოჯინას დაბადების დღე

ცუგრუმელა,
ცუნცულა,
კოხტა და
კოკროჭინა,
დღეს ერთი წლის გამხდარა
ჩემი გოგო თოჯინა.
ს.ტუმრების მოლოდინში
კოხტად გამოწყობილა,
საჩეიმო სუფრისთვის
ქადაც გამოცხობილა...

მოაკითხა დობილმა,
მოაკითხა ძმობილმა,
მოცეკვავემ განთქმულმა,
მომღერალმა ცნობილმა...

მოულოცეს დღეობა
კოხტას და კოკროჭინას,
ოიამაშეს თვითონაც,
ათამაშეს თოჯინაც...

...ჩემი გოგო თოჯინა
კოხტა და კოკროჭინა!..

თეთრი კვერცხი

ოთოვლში კვერცხი რომ ნახა,
მზიამ უთხრა დებსო:
ოეთრ კვერცხს წიპა კი არა,
თეთრი თოვლი დებსო.

გ ა მ ო ე ა დ გ ა

ყანა,
ბოსტანი,
ვენახი
ჩვენც კი გვაქვს, ბებო, სკოლაში,
ვბარავთ და
ვთოხნით,
ვთესავთ,
ვრგავთ,
ვართ იმათ ზრუნვა-მოვლაში...

ეს, თვის ბოლოკის თესლია,
ეს, გულაბი მსხლის ნერგია...
ბოსტნის მოვლა რომ მასწავლე,
კი გამომადგა, ბებია,
ხუთიანები შრომაში
ჩემდენი არვის რგებია.

კარტოფილის წიწილები

აივანზე კალათა დგას:
ალათობს და ბალათობს...
კალათაში კარტოფილი
და ძევს დიდი საზამთრო.

— ბებო, ბებო, მაცივარში
საზამთროს რომ ეძებდი,
ნახე, აგერ, კალათაში —
ლაუდვია კვერცხები.

შეხე, კარტოფილის კვერცხებს
კრუხად აზის საზამთრო, —
რომ დაჩეკავს
კარტოფილის
წიწილები დავზარდოთ.

ზოოპარკის კარუსელზე

მედეა და ლიდია
ზოოპარკში მიდიან.
იქ ნახავენ მელიას,
დათუნიას ბელიანს.

ციყვუნებიც ელიან,
ზღარბუნებიც ელიან...
იქ ნაყიდი ნაყინიც
უფრო გემრიელია!
იქ რომ კარუსელია,
სჯობს სხვა ყველა კარუსელს!
არ მივიდნენ სპილოსთან,
კარუსელზე გაქუსლეს!
მედეა ცხენს მოახტა,
ლიდია კი — მელიას,
სურვილები პატარებს
აღარ გამოელიათ!
კარუსელი იცინის,
მღერის დელა-დელიას.
ზოგიერთი ატირა
კარუსელის ტრიალმა:
— რატომ ვარ უკანო,
რატომ გიას წინ არ ვარ? —
კარუსელმა ჭრიალით
მხრები აიყირავა:
— ძირს ჩამოდით ახლავე,
რომელიც ხართ მტირალა!

ბებოს გოგო

— ბებოს გოგო, სად ჰყავდი
წაყვანილი ბებიას?
— სად და სტუმრად შატილში,
სადაც დიდი მთებია!..
სადაც ჭიუხებია,

სადაც ქარაფებია!..
— ბებოს გოგო, შატილში
რა გაჩვენა ბებიამ?
— რა და... კოშკი შატილის,
მტრებს რომ ბევრჯერ შებმია...
— ბებოს გოგო, კიდევ რა,
რა გაჩვენა ბებიამ!..
— რა და... თეთრი ბატკნები
რძით რომ ქათქათდებიან,
ჩქარა რომ იზრდებიან
და რომ ხუჭუჭდებიან...
— კიდევ, კიდევ, გვითხარი,
რა გაჩვენა ბებიამ?..
— რა და, ჯიხვი ურქენდა
კლდეებს ქარაფებიანს!
შორით ვეფერებოდი
იმ ჯიხვს მაგარრქებიანს...
ორბიც ვნახე, არწივიც,
ელალისფერი ფრთები აქვს...
იცით, როშკის ჩანჩქერზეც
ამიყვანა ბებიამ.
წყლის წისქვილი მაჩვენა, —
ამოდენა თვლები აქვს!..
იცით? კიდევ შატილში
ვინ მაჩვენა ბებიამ?..
ას ოცი წლის მოხუცი,
დათოვლილი თმები აქვს...
— ბებოს გოგოვ, იქ მგელი
არსად შეგფეთებია?
— მგლები იმათ ხვდებიან,

ვინც არ უსმენს ბებიას...
მე... დამჯერე გოგო ვარ,
მგლები არსად მხვდებიან!..

სხვისი კატა

საიდანლაც ჩვენს ეზოში
შემოვიდა ერთი კატა, —
ჩიტი სამ დიდ ბუდეს მოქსოვს,
კუდით იმდენ ბალანს ფანტავს...
მოსვლის უმალ ყუთი ბინად
მიიჩინა სახლის წინა...
აიკუზა, შიგ ჩაძვრა და
გემრიელად ჩაიძინა.
დაინახეს წიწილებმა
და თვალები გაუბრწყინდათ,
წყალი ასხეს ნისკარტებით:
— წვიმა მოდის,
— წვიმა,
— წვიმა.
გაიღვიძა,
სიყვარულით
მოუქნია თათი ყველას.
გრძელკისერა,
თმაქოჩორა,
მოკუდნული,
ჟრუნა, ჭრელა...
ერთ სწორ ხაზზე დააყენა —
მეთაურმა ფისომ მწკრივად
წიწილები სათამაშოდ

წაიყვანა ვაშლის ძირას.
ხან პეპელას გაეკიდნენ,
ხან ხოჭოებს,
ხან ობობებს...
შუადღით კი დაღლილები
შეეყუჟნენ ჩრდილქვეშ ღობეს...
დოდო ამბობს: — შეხეთ, როგორ
ჭკვიანად და წყნარად ზისო...
არ ყოფილა ცუდი ფისო,
არ ყოფილა ცუდი ფისო...
არც წუწკია, არც მსუნაგი,
ზარმაცივით არ ამთქნარებს...
ასე კარგი ფისუნია
ვინ გააგდო ნეტავ გარეთ?!

ვენახის კაცი

გუშინ მთელი ვენახი
დაიარა ბაბუამ.
საქათმიდან უმზერდნენ
მამალი და ღაბუა.
— ვაზებს მტევნებს უსინჯავს,
რა ძუნწი, რა ავია...
ნეტავ რატომ დაგვსაჯა,
ჩვენ არ შეგვიჭამია, —
ალუღლუღდა მამალი,
გაუწითლდა ბიბილო,
წაიგრძელა კისერი:
— სანამ უნდა ვითმინოთ?
მტკივა, მეწვის ფრთის ძირი,

ტკივილს ვერ გავუძელი...
ჩვენ დაგვაჭრან ფრთები და
ჩიტმა ჭამოს ყურძენი?
ერთი შეიფათქუნა,
მაგრამ ველარ აფრინდა,
მოეფერა დედალი:
— კარგი, ჩხუბი რად გინდა!
იმ ჩიტებსაც ბაბუა
რამეს გამოუძებნის,
რომ ვერ ჭამონ ყურძენი.
მეორე დღეს ბაბუამ
ზვარში პალტო დაკიდა,
ჭიგოები შეუდგა
იქიდან და აქედან.
ასეთი რამ ნახულა?
პალტოს ქუდი დაჰხურა...
როგორც ნახა ჩიტუნამ, —
ვენახიდან გაფრინდა
და საწყალი თვალებით
გადმოხედა საფრიდან.
ყველა ჩიტმა გაიგო,
ზვარში ვილაც კაცია,
დიდი ქუდი ახურავს,
გრძელი პალტო აცვია...
შეეშინდათ ჩიტუნებს
და გაფრინდნენ ეზოდან
სხვის ეზოში, სხვის ზვარში,
იქვე ახლოს, მეზობლად.
აგერ შვილიშვილები,
ყოჩაღები რბენაში,

სიხარულით ჩაცვივდნენ
ყურძნით სავსე ვენახში.
იქ რომ კაცი იხილეს,
გაქრა მათი ღიმილი,
შეეშინდათ, ატეხეს
ერთი ჟივილ-ხივილი.
გარბოდნენ და ყვიროდნენ:
— ჩვენს ვენახში ქურდია,
მაგრამ ისე იპარავს,
კალათა არ უდგია,
დიდი ქუდი ახურავს,
გრძელი პალტო აცვია...
გაეცინა ბაბუას: —
ის ვენახის კაცია!

ჩემო ბებო

შხაპ-შხუპ,
შხაპ-შხუპ,
ქაფ-ქუფ,
ქაფ-ქუფ, —
აბანავებს ბებო დალის.
— ჩქარა, ბებო, ჩქარა, თორემ
შეგვიწყდება თბილი წყალი,
ქაფი რომ ვერ მოვიცილო,
ხომ დამეწვა საპნით თვალი.

კიჭი, კიჭი, კიჭიკელა

სულ თეთრი და
სულ ქათქათა
კიჭი, კიჭი, კიჭიკელა,
ძირა კბილი,
თოხა კბილი —
ამოვიდა თითქმის ყველა.
კბილები რომ დაუნახოთ,
სულ იცინის ბიჭი გელა...
— შემჭამეო, — უთხრა მჭადმა.
— შემჭამეო, — უთხრა ყველმა.

ჯიუტი ბაჭიები

გუგუნებს და გუგუნებს
ტკარცალებს და ტკაცანებს,
დიდი ცეცხლი უნთიათ
ფუღუროში ნაცარებს...

თეთრი ბებო კურდღელი
წინდებს უქსოვს ბაჭიებს:
ტუჩცმაცუნა მსუნაგებს,
ცქნაფა — სორობღაჭნიებს,
მოცუნცულე ბოცვერებს,
ვამხდრებს,
კანჭებკნაჭიებს...

აქეთ-იქით გახედვა
დედას არ დააცალეს,

დარიგების გარეშე
კარში გაიცანცარეს...

მიწა გადაბამბულა,
დიდზე დიდი თოვლია,
თოვლს ვინ ეძებს,
— ჰამ-ჰამ, — ყეფს
თეორი ძაღლი ბროლია!..

ბაჭიებმა წივილით
შემოხურეს კარები,
ჩაეხუტნენ დედიკოს,
შემოხვიეს თათები.
— ერთ ძაღლს ჩვენს დასაჭერად
აქეთ აქვსო თვალები...
გვეშინია, დედიკო,
ვერსად დავემალებით?
— თქვე ბრიყვებო, სიროს კარს
უჩემოდ რად აღებდით?
დედის დაუკითხავად
გარეთ რატომ გახვედით?
ხედავთ, გვითვალთვალებენ
მონადირე ძაღლები.

მე ვიზრდები სოფელ ხუნწში

მე ვიზრდები სოფელ ხუნწში
ცხენისწყალის პირას,
მის ტალღებში ცა-ლაჟვარდი
მზეს აწრთობს და პირავს!

შიგ ცურავენ კალმახები
ოქროს კუდით, ფრთებით,
შიგ ჭინკებიც ბანაობენ
დაბურდული თმებით...

როცა აქ ვართ, ბებოს გულით,
როგორც ცხელ მზით ვთბებით!
აქ არიან სუყველანი:
გიგოც, ნინოც, სხვებიც...

ძლიერ მოგვწონს ცხენისწყალის
რიყის თეთრი ქვები,
„ნაჯიხოუს“ ძველ ნანგრევთა
ხავსიანი მხრები.

ჭრელაჭრელა ჩიტუნების
მოჭიკჭიკე ენა,
ღამღამობით ვარდის რტოზე
ბულბულების სტვენა.

თეთრ პეპლების შარიშური,
ბზიკის მწარე კბენაც...
ბეკეკების ხტუნვა-ბუქნა,
ბოჩოლების რქენა,
გულმოთბილო ზენა ქარი,
სუსხიანი — ქვენა!..

მოვიჯერეთ გული მინდვრად
მწიფე მარწყვის ძებნით.
ბუსკა, მურა, კვიცი — ყველა
გახდნენ ჩვენი ძმები!

ისე ყეფენ თუნთიები,
შორ სოფლებშიც ესმით,
წვიმის წყალიც,
თოვლის წყალიც,
დილის ცვარიც შევსვით...

გვიმოსავენ თმას იები,
თეთრი ენძელებიც,
გვეცოდება, რომ მისდევენ
კურდღელს მეძებრები!..

გვეფერება ფშიარები,
ჩუმი გვიმრალები,
შიგ ეშმაკიც ვერ მოგვძებნის,
ისე ვიმალებით...

მწყემსვა ვიცით, ცხენზე ჯდომაც,
ყანის, ბოსტნის მარგვლაც...
მაღლობზეა ჩემი ხუნწი,
სხვა სოფლებს კი არ ჰგავს...

ამ სოფლიდან მოჩანს წაბლქვეშ
დათვი როგორ გორავს,
„ტაბაკელის“, „ობოდირის“,
თეთრი „წკირის გოლაც“!

თამარ-მეფის „ქოშის გორაც“
მოჩანს ამ სოფლიდან,
ეუშინ დილით
წაბლის ტყიდან
ორბიც ამოფრინდა.

ხან გავყურებთ გურიის მთებს,
ხან ჩვენს მაღალ „მარტვილს“,
ხუნწის ტყეში ორბს ბუდე აქვს
და ჰყავს ორი ბარტყი...

მოგვწონს ხუნწის კორდებიც და
მთებიც, წყაროც, მდელოც...
გვიყვარს ჩვენი მშობლიური
ტურფა საგამდელო!..

როცა დათბა...

როცა დათბა, მწვანე მოლით
ტყე და ველი აფოფინდა,
ჭრელი ჩიტი ულრან ტყიდან
ჩვენს ეზოში შემოფრინდა.

* * *

წყარო, წყარო,
ღელე, ღელე
თუკი მიყვარს სიარული,
ისიც ვიცი, თეთრი ია!
სადაცაა მიმალული!

ეს კარგი კაცი გამოვა

უსაქმოდ,
მარტო თამაშით
ერთ დღესაც კი არ ვაღამებ,

ჩემი ნათესი ჯეჯილი
შეხეთ,
რა მწვანედ ღაღანებს!

ჩემი ნათიბი ბალახი,
შეხეთ,
რა ჩქარა გამხმარა?
უნდა დავზვინო,
ზამთარში
რომ ჭამონ ძროხამ და ხარმა!

ჩემს დარგულ მაღალ პამიდვრებს
შეხეთ,
მოუსხამთ რამდენი!..
თხები ჯაგნარში შევრეკე,
ხბორებს ჭალაში გავდენი!..

ბებია ნატრობს:
— ნეტავი
მაცოცხლა ერთი ამდენი,
რა კარგი შვილიშვილი მყავს,
რა მარჯვე,
გამრჯე,
ჭკვიანი,
გამოვა შრომისმოყვარე
ნამდვილი ადამიანი!

ზ ღ ა პ ა რ ი

ფრჩხილის მოჭრა,
თმის დავარცხნა,
დაბანა რომ არ უყვარს —

იმნაირ ბავშვს ჭინკა ტყეში
თავის შვილებს წაუყვანს.

ვინც ავია, ხარბია და,
მშვიდად ყოფნა არ უყვარს,
მგელი იმ ბავშვს სამეგობროდ
თავის შვილებს წაუყვანს.

ვინც ყველასთან ცრუპენტელობს
და მართლის თქმა არ უყვარს,
იმ ბავშვს მელა სამეგობროდ
თავის შვილებს წაუყვანს.

ვისაც მჭადზე, ჭყინტი ყველის
მიტანება არ უყვარს,
იმ ბავშვს ტურა სამეგობროდ
თავის შვილებს წაუყვანს.
ვინც სულ დახტის, არ ისვენებს,
წიგნთან ჯდომა არ უყვარს,
იმ ბავშვს ციყვი სამეგობროდ
თავის შვილებს წაუყვანს.

— თქვენ რომელი გირჩევნიათ?
— ჩვენ? — დედ-მამის დაჯერება!
ჭინკა, მელა, მგელი თავის
შვილებს ჰყავდეთ დამსჯელებად!

თ ა მ ა შ ა

სულ ხტუნაობ, ხტუნაობ,
წიგნს ერთხელ არ გადაშლი...

ბურთი თუ გადაგისტა, —
მაშინ შეხვალ ყანაში...
ისე... მარჯვე ბიჭი ხარ
ჭყინტი ტაროს ჭამაში.

ჩვენ ვეფრდებით სამშობლოს

— მე, მხატვარი გამოვალ,
ძლიერ მიყვარს ფერები,
ჩემი ყალმით სამშობლოს
უფრო მოვეფერები!

— მე მჭედელი გამოვალ,
ვეტრფი ქურას უქრობელს;
გამოვჭედავ ცელ-ნამგალს,
უფრო მჭრელს და უფრო ბევრს!

— მე ისეთ ტრაქტორს შევქმნი,
რომ ქვეყანას მოხმარდეს,
მარტო ბარში კი არა,
მაღლა მთაშიც რომ ხნავდეს!

ჰოდა, აგერ მინდორი,
დასახნავად წინ მიდევს,
დავთესავ და მოვიყვან
შავულვაშა სიმინდებს.

— მე ვენახი მიზიდავს,
არც ურო მსურს, არც ქურა.
დავამყნობ და დავწინდავ,
შაბიამნით განვკურნავ,

რა სჯობს ლერწებს დახუნძლულს,
მავთულზე რომ გაკრულან.

მე კი ჩაის მოსაკრეფ
დიდ მანქანას გავმართავ!
ფოთლით წუთში ავავსებ
ასიოდე კალათას.

მსურდა სამედიცინო,
მაგრამ აზრი შევცვალე,
ათეზის ბარაქიანი,
უნდა გავხდე მეცხვარე!

— მე არც ხარატობა მსურს
და არც თქვენი მხატვრობა,
თუ გამიშვეს მშობლებმა,
მინდა კოსმონავტობა.

— მე მსურს, რომ გამოვიდე
ნაღდი, ვარსკვლავთმრიცხველი.
— მე კი მინდა, რომ გავხდე
ფეხბურთელი ფიცხელი!

მე არც ინჟინრობას და
არც მწყემსობას ვემდური,
მთავარია, რომ ვიყო
საქართველოს ერთგული!

ყველა საქმე კარგია,
რაც ჩვენს მამულს ადიდებს.
თუ შემატებთ ხვალისთვის,
რაც დღეს არის — ათ იმდენს!

ვის ჰგვანან ნეტავი?

შეხედე, მედეა,
მინდვრებში
გზადაგზა
რამდენი ყვავილი
გაშლილა ლამაზად?
ყაყაჩო,
მცინარა,
გვირილა,
ბაია,
ბალბა,
ლურჯთვალა,
ბეჭედა,
ალმასა...
— ვის ჰგვანან, ნეტავი?
— ვისა და... როგორც ჩვენ
ნახევრად დედას და...
ნახევრად მამასა!

ბიჭი ზღაპრეთში

როგორც ჩიტი ხანდახან,
ფიქრო, გამიფრინდები,
სადაც არის ზღაპრეთის
გადაშლილი მინდვრები!..

ჩვენთან რაც გვრიტებია,
იქ ჰყავთ ასი იმდენი!
ჩვენთან რაც ციყვებია,
იქ ჰყავთ ასი იმდენი!

ჩვენთან რაც ბელებია,
იქ ჰყავთ ასი იმდენი!
ჩვენთან რაც ბავშვებია,
იქ ჰყავთ ასი იმდენი!

მეც დავქრივარ ზლაპრეთში,
დევებს ჯოხით მივდენი,
ჩვენთან რაც ძალ-ღონე მაქვს,
იქ მაქვს ასი იმდენი!

ჩხარელ ბებიას

ეკეკები —
ბეკეკები.
ბაჭიები —
ბლაჭნიები,
კანჭიები —
კნაჭიები.
ბოჩოლები —
ქოჩორები.
ღრუტუნები —
კრუტუნები.
დუდღუნები —
ბურდღუნები.
მწივანები —
მცივანები.
კოკინები,
ყროყინები.
ციყვუნები, კვიცუნები,
იხვუნები, ციცუნები,
კვიტკვიტები —

ვიტ-ვიტები.
ყვიტ-ყვიტები
ბრიყვ-ბრიყვები.
კატუნები,
ბატუნები,
ყველა
ხატულ-ხატულები.
— ბე... ე...
— მე... ე...
— ზმუ... უ...
— პე... ე...
— მიავ...
— ამ, ამ...
— აჩუც... აქშიც...
ტყეშიც, ცაშიც, წყალშიც, სახლშიც...
ყველაფერი ლამაზი ჰყავს
ჩემს ბებიას სოფელ ჩხარში!

კურკანტელის სტუმრები

აბა დელი, დელი-დელა,
მწიფს წითელი კურკანტელა,
შაშვი, ლაჟო, გულწითელა
მას ეწვია სტუმრად ყველა...

კუნწულები ერთმანეთში
ტოლად არ აქვთ გაყოფილი...
თითო ხვდათ თუ ცხრა-ცხრა ცალი,
ყველა არის კმაყოფილი!

ასალკოლხური ნანა

ბულბული ზის ამ აკვანზე
და მზე სხივსხარტულა...
ნანა, შვილო, დაიძინე,
სისა, სისა, ტურა!

ბედნიერი აკვანია,
ძველი, ძველთაძველი...
შიგ გაზრდილა გლეხი კაციც,
მეფეცა და ბრძენიც!

გაფენ წითელ-ყვითელ ატლასს
ლამაზ ჩითხატულას,
ნანა, შვილო, დაიძინე,
სისა, სისა, ტურა!..

მზესა და ჩემს რძეს შეგარგებ,
ბადრის ტყუპისცალო...
თვისა ხარ და წლისას ჰგავხარ,
დედა გენაცვალოს...

ნანა, შვილო, მამისთვალავ,
ნანა, ძილს ვინ გიშლის?
ტურამ ხომ არ შეგაშინა,
რად ატირდი ძილში?

დაიძინე, გაპარულან
ტურა-მელა სხვისას,
ნანა, შვილო, ნანა, ნანა,
სისა, ტურა, სისა...

ქუხილი ნუ შეგაშინებს,
ნანა, შვილო, ნანა...
ქუხილს წვიმა მოსდევს კვალში,
დაპურდება ყანა.

ხალხმა უკვე ცა დაიპყრო,
უკვე მთვარეც ნახა...
გაიზრდები, ნანა, შვილო,
შენ უფრო შორს წახვალ...

შენ ვერავინ გაგიბედავს
სხვის უღელში შებმას,
საქართველოს სიმღერები
ელოდება შენს ბანს!..

ამ აკვანში გაზრდილ გმირებს
უომიათ ბევრი,
ჯიშიც მოგდგამს და ჯილაგიც,
უნდა მუსრო მტერი!..

შენც გაიგებ, ანგელოზო,
წუთისოფლის ამბავს,
შეისწავლი ჩიტის ჭიკჭიკს,
იაკობის ანბანს...
❦
აბრეშუმის ხალათს გიქსოვს
ოქროს სხივი მზისა,
ნანა, შვილო, დაიძინე,
სისა, ტურა, სისა!..

ნანა, შვილო, მოგცემოდეს
ხმა ზარის,

ფრთა — ქარის...
გამძლეობა და სიმტკიცე
ვახტანგ მეფის ფარის!..

წკარუნებენ ვარსკვლავები,
ბალღო, ძილი ნების,
დაშრიალებს ატლასები
თეთრი გვირილების...

ბულბული ზის ამ აკვანზე
და მზე სხივხატულა...
ნანა, შვილო გაიზარდე,
სისა, სისა, ტურა.

მარჯვე წიპა

ცხრათვალა მზემ ჯამაზ-ბიჭის
ყანაში რომ შეიჭყიტა,
მზე გულებში ჩაიხუტეს
ლობიომ და ტარომ ჭყინტმა...

წიფა, წიფა, წიფა, წიფა,
მზემ სიმინდი დაამწიფა.
ჭრელად,
ჭრელად,
ყვითლად,
წითლად
მზემ ლობიოც დაამწიფა,
პარკი გასკდა და მარცვალი
ამოსკუპდა: — ჭიტა, ჭიტა!.. —

კენკა, კენკა, კენკა, კენკა,
დაიხმარა ჩიტი წრიპაც.
და ბებიკოს მიუტანა,
თაგვს არ მისცა მარჯვე წიპამ.

თებერვალი მოსულა

დაჩეკილან იები
თეთრი თოვლის ბუდეში.
სხედან წიწილებივით,
დედაბუჩქის უბეში...
...თებერვალი მოსულა,
მზეს რა უნდა ღრუბლებში?

მოქათქათე ლურჯ ცაზე
მზე კაცივით მაშვრალი
დადის და დედამიწას
ათბობს სხივთა ლაშქარით!

ბ ე ბ ი ა ს თ ა ნ

ადრე ვდგებით,
ადრე ვდგებით,
დილ-დილობით მე და ბები.
საკენკს ვუყრი, ქათმებს, მტრედებს,
იხვის ჭუკებს, ბატის ჭუკებს...
რომ გაძღება რძით ბოჩოლა,
მზეც ამოდის წითლად უკვე.

ზის მერცხალი ბუდის თავზე
და ჭიკჭიკით ერდოს იკლებს.
ბებო მისდევს თხას და ძროხას,
მე მოვრეკავ ხბოს და თიკნებს.
    შემეჩვია თეთრი ლეკვიც,
    მიყურებს და სულ არ მიღრენს,
    ჭიდან დოქით წყალი მომაქვს,
    საბუდრიდან კვერცხებს ვიღებ.

დავდევ ბებოს ტყეში, ზვრებში,
დავდევ ბებოს ბოსტნის კვლებში,
ვაკვირდები კვირტის გაშლას,
როგორ არღვევს მიწას ფესვი.
სულ აქა ვარ, კარგად ვიცი,
სად წევს დიდი მწიფე ნესვი.

დამეკარგა ფეხსაცმელი

დღეს ახალი,
გუშინ ძველი,
დამეკარგა ფეხსაცმელი;
აქ ნამდვილად ვიღაც ქურდობს, —
უნდა მოვჭრა, იმ ქურდს ხელი.

ცალი ბებოს უპოვია,
უპოვია ცალიც ხუტას,
თურმე ჩვენი მურა ცელქობს —
დავაბამ და იჯდეს კუტად.

ჩიტის ბუდესთან

გუშინ დილით წიფლის ხეზე
მივაგენი ჩიტის ბუდეს;
შიგ პაწაწა ჭორფლიანი
სამი ცალი კვერცხი უდევს.
        დამინახა
        შორიახლო,
        აჭყიპინდა, კვნესა მორთო,
        არ ეგონა, თუ ბუდეში
        ჩავუფენდი ხმელ-ხმელ ფოთოლს.
ფრთახატულამ,
გულშემკრთალმა
ამიქროლა, ჩამიქროლა,
რომ დარწმუნდა, არც ბუდე და
არც კვერცხები არ მიმქონდა,
სიხარულით დამჭიკჭიკა,
სხვა ჩიტებიც აიყოლა.
ყველამ ერთად ჩამომძახა:
— გაიზარდე დათვის ტოლა.

მ ო ც უ რ ა ვ ე

ჩავიმალე ტალღებში
უშიშარი, გულადი.
სწორედ ამ დროს ძიამაც
გადამიღო სურათი,
ეგონება მამიკოს,
ვითომ მართლა ვცურავდი.

მშიშარა ✓

შეეშინდა, ბეკეკას
რომ შეახო ხელი.
— მშიშარა ხარ, მშიშარა! —
გიას უთხრა ნელიმ.
— მოეფერე, თხა არის,
არ გეგონოს მგელი.

ჰერი ზღაპარს, ✓
ზღაპარსა!

ამ ზღაპრული რაშითა
გადავივლი ცხრა მთას.
ამ ზღაპრული ხმლითა
დევს წავაცლი ცხრა თავს...
მელას ციხე-სოროდან
გამოვიყვან ქათამს...
ჰერი ზღაპარს, ზღაპარს
ტყუილსა და მართალს.

მათბობელა ბუსარი

რომ ვივახშმებ,
დავიბან...
ძილო, სანამ მეწვევი,
სანამ ბებო დაწვება,
მის ლოგინში მე ვწვები.
ლოგინს ვუთბობ ბებიას,

რაც ეს თოვლ-ყინვებია...
— რაც ლიდია ჩემთან წევს,
სითბო არ მომკლებია, —
იტყვის ბებო... და გვიან
წვება, გულში მიხუტებს,
როგორც ჩიტი მის ბარტყებს,
როგორც ფისო — მის კნუტებს.
მიხარია ბებოსთან,
ბებიასაც უხარის...
მე ვარ ბებოს ლოგინის
მათბობელა ბუხარი.

დ ა თ ვ ი

დათვი დადის დანდალით,
დაბალია,
დაბალი,
ისე კი სურს რომ იყოს
ჟირაფივით მაღალი,
რომ ხეზე აუსვლელად
ჭამოს თუთა და ბალი.

წ ვ ი მ ა დ ა გ ო გ ო ნ ა

— წვიმავ,
წვიმავ, შხაპუნავ,
წვეთ-წვეთად რომ დახტუნავ,
რად არ ჩამომიყვანე
ციდან ღრუბლის დათუნა?

მსხლის მურაბა

ეურადა, ურადა,
ეურადა, ურადა...
უჰ, რა გემრიელია
ბებიკოს მსხლის მურაბა!..
თაფლზე უფრო ტკბილია,
წვენი ქარვისფერია,
ვჭამ,
ვჭამ და არ აკლდება,
მაინც ისევ ბევრია,
ქილა ისევ სავსეა,
მუცელი გაბერვია...
თურმე ჩუმად უმატებს
სხვა ქილიდან ბებია.

ვეიყვარს ჩვენი კარგი სკოლა

ყველა სკოლის ზარი მღერის

— ნაუ,
  ნაუ,
მოდით,
მოდით,
ზარი მღერის სექტემბერის...
აწკრიალდა ყველა ზარი,
ყველა სკოლის ზარი მღერის!
ყანა თოხნეს,
ჩაი კრიფეს,
ციხე ნახეს ბევრზე ბევრი,
მთა დალაშქრეს,
ტყე დალაშქრეს,
და ჰა, დადგა სექტემბერიც.

ახალ ჩანთით,
ახალ ფორმით,
მოეფინენ ქუჩებს, შუკებს,
ბავშვი კარებს ვერა სწვდება
და სკოლაში ჰიდის უკვე.

გულში იკრავს „დედა ენას“,
ფერად ჩხირებს,
ფერად ფანქრებს
და მოხატულ თეთრ სამელნეს —
თეთრად, თეთრად რომ ანათებს.
ზარი ამბობს:
— ნაუ,
  ნაუ,
გამრჯედ,

ვამრჯედ...
თვალი მარჯვედ,
ხელი მარჯვედ,
ყური მარჯვედ,
სულ მარჯვედ და
ვაიმარჯვებთ!

გვიყვარს ჩვენი კარგი სკოლა

გვიყვარს ჩვენი კარგი სკოლა,
სადაც ვსწავლობთ ანაბანას,
სადაც ვსწავლობთ წერა-კითხვას,
სადაც ვკენკავთ სიბრძნის ყანას!
სადაც ვსწავლობთ ჩვენი ქვეყნის
მოვლასა და პატრონობას,
ხმაგუგუნა ბიჭები და
გოგონები ხმატოროლა!..
განა მარტო ვაკვეთილებს?
ვსწავლობთ ქცევას, თამაშს, შრომას,
ვსწავლობთ, ვინ გვყავს მტერ-მოყვარე,
მეგობრობას ვსწავლობთ სწორად!

ზოგს ხუთები დაგვიწერა,
ზოგს ოთხები,
ზოგსაც სამი,
დიახ, მასწავლებელია,
აგვიხილა ვინაც თვალი,
დაგვიწერა ორიც, მაგრამ
მაინც გვიყვარს დედასავით!

გვიყვარს ჩვენი კარგი სკოლა,
სადაც ვსწავლობთ ანაბანას,
სადაც ვსწავლობთ წერა-კითხვას,
სადაც ვკენკავთ სიბრძნის ყანას!

სამშობლო რომ ვასახელო

სამშობლო რომ ვასახელო,
რომ გავხდე კარგი ქართველი,
რომ არ დავკარგო ანბანი,
სწორად ვთქვა ჩემი სათქმელი,

მამა მთვარის და დედა მზის,
რომ არ ჩამიქრეს ნათელი,
მტერს რომ არ დარჩეს მოედნად,
მინდორი ჩემი სათელი,

რომ ვიცნო მტერი, მოყვარე,
რომ გავარჩიო ავ-კარგი,
რომ შევუნახო მომავალს
ხალხის ნაჭედი, ნაქარგი,

რომ თქვან: — თავისი სამშობლოს
არის ნამდვილი პირმშოო,
ხუთებზე უნდა ვისწავლო,
ხუთებზე უნდა ვიშრომო!

თვლა

ერთჯერ ერთი — ერთი,
ერთჯერ ერთი — ერთი,
ბალახია მწვანე,
თოვლი არის თეთრი.

ორჯერ ორი — ოთხი,
ორჯერ ორი — ოთხი,
კერას ასდის კვამლი,
ჩაიდანს კი — ორთქლი.

ორჯერ სამი — ექვსი,
ორჯერ სამი — ექვსი,
აპრილში და მარტში
დროა ხვნის და თესვის.

ორჯერ ოთხი — რვა,
ორჯერ ოთხი — რვა,
ლერწებს უნდა სხვლა,
ნერგებს უნდა რგვა.

ორჯერ ხუთი — ათი,
ორჯერ ხუთი — ათი,
სოროში წევს ტურა,
ბუნაგში წევს დათვი.

სამჯერ სამი — ცხრა,
სამჯერ სამი — ცხრა,
ზურმუხტია, ზურმუხტი
საქართველოს ცა!

დიდება

იხაროს მუხამ,
იყაროს
ვარდის და ვაზის რქა-ფესვმა,
იხაროს ყანამ შრიალამ,
პაპის ნარგავმა-ნათესმა.
ტყეში იმრავლოს გუგულმა,
იძახდეს „თესე-კაფესა“,
იხაროს მასწავლებელმა,
მოსწავლეს რომ ზრდის საქებსა,
დიდება,
მარად დიდება
კარგად ნაკეთებ საქმესა!

* * *

ნეტავი ჩემს დაიკოს
ბებო რატომ აქებს? —
არ მიყენებს ჩანთაში
პასტებსა და ფანქრებს.

ეს ჩემი გასაჭირი
აბა, როგორ არ ვთქვა?
ჩემი ჩანთით დაიკო
დადის ალთა-ბალთას.

დღეს ძალიან გამახარეს

დღეს ძალიან გამახარეს,
მკითხეს ოთხი გაკვეთილი,

ოთხი, ხუთი მოვიტანე,
ოთხივ ცოდნით დაკრეფილი!..
ხუთები ვინ დამიწერა?
— ეს რუსულმა,
ეს, ქართულმა,
ეს, ფიზიკამ,
ეს, ალგებრამ —
ყველა ცერზე შემართულა!

თეთრ ცხენებზე სხედან თითქოს
და დროშები უფრიალებთ,
სამეგობროდ მოელიან
კიდევ მრავალ ხუთიანებს!

ა... ა... რული, ა... ა... რული
ორიანებს, კუდიანებს!

ვინც დედ-მამას ეხმარება...

ზამთრისათვის ემზადება
და ღიღინებს ციყვუნა:
— ვინც მამას არ ეხმარება,
ის შვილია ბრიყვუნა.

მამის ხმას რომ ყური მოკრეს,
დაფაცურდნენ შვილები...
ხიდან ხეზე გადაფრინდნენ
პარაშუტგაშლილები...
თხილით, წაბლით, რკოთი, კაკლით
ამოავსეს ფუღურო...
ხმელი ხავსიც მოიტანეს,

საბნად რომ დაიხურონ...
რაც ფულუროს ხვრელი ჰქონდა, —
საიმედოდ დაგმანეს,
ისე მორთეს, რომ ფულურო
ლამის სახლს დაამგვანეს...
რომ დაღამდა,
დაღლილ მამას —
თათუნები დაბანეს.
ახლა ციყვუნების სახლის
კარი მღერის ჭრიალით:
— ვინც დედ-მამას ეხმარება,
ის შვილია ჭკვიანი.

წიგნი მიყვარს

წიგნი სავსე
გლეხკაცებით,
მეფეებით,
ზღაპარ-მითით...
ისე მიყვარს,
ისე მიყვარს,
არ ვიღლები მისი კითხვით!

გადაშლილი წიგნი თითქოს
ფრთაგაშლილი მტრედი არი...
მიყვარს წიგნი,
მიყვარს წიგნი,
ზღაპრის წიგნი ფრთებიანი.
წიგნი სავსე ფრინველებით,
წიგნი ლურჯი ტბებიანი,
წიგნი სავსე ცხოველებით,
წიგნი ნახატებიანი!

ჩხიკვის დამალული თხილი

ხის ქერქის ქვეშ კროლა თხილი
რომ დამალა ჩხიკვმა,
მოფრინდა და გრძელ ნისკარტით
— ჩხიკ, ჩხიკ... ის ხე ჩხიკნა...
ვერ იპოვა მაინც მისი
დამალული თხილი,
და ზის ჩხიკვი მოწყენილი
ჩუმად თავდახრილი...
— ჩხიკვის დამალული თხილი, —
ბებომ უთხრა ვასოს:
— უპოვნია,
წაუღია
თავის სახლში თაგვსო.
დამჯდარა და ამ ახალ წელს —
გემრიელად ხრავსო.

ია

წიგნში ია,
ბაღში ია,
ბუჩქში ია,
გზაში ია!..
რა ბევრია, —
რა ხშირია —
ყველგან ლურჯად გაშლილია!
ვინც არ მოწყვეტს ლამაზ იას,
მასთან ფუტკარს თაფლი მიაქვს.

კნაწაკნუწი

კნაწაკნუწი,
კნაწაკნუწი,
ტყეში მელა დადის წუწკი;
— მე მშიერი იმიტომ ვარ,
რომ სოფელი არის ძუნწი!
ასე როდი იყო უწინ?
სულ მაძღარი მქონდა კუჭი!
ახლა, ხაფანგს ჩემს დასაჭერს,
გამოაბეს ცხრა კაუჭი...
ალბათ სოფელს ჩემი წილი
ვარიების გაზრდა უჭირს.

მანქანა ვარ იატაკის

...შემოვიდა მანქანა
სახლში ბზრიალ-ბზრიალით:
— უნდა დავაწყებინო
თქვენს იატაკს პრიალი. —

თქვა და შრომას შეუდგა
გუგუნით და გრიალით,
პარკეტ-პარკეტ მიგორავს
ბორბლადანის ტრიალით...

— გრუ... უ... გრუ... გრუ... პარკეტებს
ვათეთრებ და ვასწორებ,
ჯაგრისს, ცოცხებს, მტვერსასრუტს
სუყველას თავს ვაწონებ...

მოვიდა წელი ახალი

მოვიდა წელი ახალი,
ძველ წელზე უფრო მაღალი?
ნაძვის ხეს ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა
ბურთებით გააქვს ღაღანი.
ამშვენებს თოვლის ფოთლები,
წაბლის, უნაბის მძივები,
მზის ოქროსფერი სხივები
და ვერცხლისფერი წვიმები?
ასხია კანფეტები და
წითელი კურკანტელები,
ჩურჩხელა, ვაშლი, ატამი,
სურო კუნწულა მტევნები.
პატარებს საჩუქრების და
ზღაპრების სკივრიც გაგვიხსნეს,
ახალ წლის მოსვლას ვზეიმობთ
ბაბუა, ჩვენ და ნაძვის ხე!

ტ ყ ე

შრიალებს კედარი...
შრიალებს წიფლნარი,
ფიჭვნარი, სოჭნარი,
ნაძვნარი, იფნარი,
იელი, ურთხმელი,
თხილნარი, წაბლნარი,
თეთრი აკაცია
რონინებს ნარნარით...

ქათქათებს დეკა და...
კესანე ღაღანებს,
პირიმზე ღიმილით
ათენებს, აღამებს...
საბრძანებელია
ტყე მეფე ლომისა,
ბუმბერაზ მუხის და
დედოფალ თოვლისა!

თ ხ უ პ ნ ი ე ბ ს

კალმით ჩხირკედელაობთ,
სუფთად როგორ იქნებით?
სულ მთლად დაგითხუპნიათ
რვეულიც და წიგნებიც.
შუბლზე,
ცხვირზე,
ჩანთაზეც
მიგიცხიათ მელანი,
ვინაც სუფთა არა ხართ,
ცუდები ხართ ყველანი.
არც წყრომით,
არც ალერსით
ჩვენი თხოვნა არ გესმით...
ეგებ რამე შეიგნოთ,
თხუპნიებო, ამ ლექსით.

ᲗᲐᲒᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲘ

ლელვის ხიდან ფოთოლი
ჩამოეგდო ქარსო:
ვაუხარდა თაგუნას —
რა საბანი მაქვსო,
დავწვები, დავიხურავ,
დავიმალავ თავსო, —
კატა ველარ იპოვის
ჩემს გზასა და კვალსო.

ᲡᲣᲠᲐᲛᲔᲚᲐ

სურამელა,
სურამელა,
კამკამაა სურამელა...
ჩვენს სახლს გვერდით ჩამოუდის,
შიგ თევზივით ვცურავ ნელა.

ᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲚᲘᲡ ᲮᲔ

მწიფს, მწიფს, მწიფს, მწიფს
რა ბალი...
მწიფს, მწიფს, მწიფს, მწიფს
რა ბალი...
— ჩემო ბებო, ის ბლის ხე
ნეტავ იყოს დაბალი...
— ხა, ხა, ხა, ხა, — ბლის ხიდან
ხმა მოისმის შრიალა.
— მე, ბლის ხე ვარ, მაღალი,
მარწყვის ბუჩქი კი არა?

რაღა გინდა სოფელში,
ან ბლის ხის ქვეშ, ბიძია...
ამხელა ბიჭს თუ ხეზე
ასვლა არ შეგიძლია.

მარწყვი გემრიელია

დელი-დელა-დელია,
დელი-დელა-დელია,
მარწყვი გემრიელია,
ბალი გემრიელია,
შავ თუთაზე ხტუნია,
მუდამ მოთხუპნულია.

შვილო, შენი მორთმეული...

სარვამარტოდ იებს კრეფენ
ტყეში ზღარბი და ბაჭია.
ენძელას კრეფს,
უსაქმურად
არც ლამაზი კაჭკაჭია!
— დედა, რვა მარტს მოგილოცავთ.
— დედა, აი, ია-ია...
— გმადლობთ, შვილო!—დედა ზღარბმა
ია გულთან მიიბნია. —
მხრებზე ხელი შემოხვია:
— გინდ არც იყოს, შვილო, ია...
შენი შრომით მორთმეული
ფოთოლიც კი მიხარია!

საშობლოს – საქართველოს!

მე
მიყვარს
ჩემი სამშობლო,
მაღალი,
მზემდე მაღალი!
შემოსეულ მტერს მრავალჯერ
დააყრევინა ფარ-ხმალი!
ჯაჭვით ასწია ზარები,
გველეშაპს ჩასცა ლახვარი!
აბრძოლებს ჩემს საქართველოს
ხმალი ერეკლეს ნახმარი!
ადიდებს ჩემს საქართველოს
გმირობა მრავალ-ახალი!
ატირებს ჩემს საქართველოს
აქა-იქ ნავენახარი!
ამღერებს ჩემს საქართველოს
დაძმობილება სხვა მსარის!

ახარებს ჩემს საქართველოს
ახდენა კარგი ზღაპარის!
ანათებს ჩემს საქართველოს
ჩაუქრობელი ლამპარი!
ამაღლებს ჩემს საქართველოს
ნინო,
დავითი,
თამარი,
შოთა,
ფარნავაზ,
მირიან,

კრწანის-მეტეხის თავანი!..
არა და...
არ დაეცლება
ქართველ კაცს შიოს მარანი!
უკვდავყოფს ჩემს საქართველოს
მრავალი შვილი, მრავალი!..
გავიზრდებით და...
ვიქნებით
ჩვენც გმირთა შთამომავალი!
ჩვენც მისთვის ვათენ-ვაღამებთ
— „ურმულით“, „ვარი-არალით“,
სამშობლო — საქართველოა
ჩვენი მზე ამომავალი!

არაფერა-ბარაქელა!

ატრაბასდა გელა ბიჭი,
რომ მიუჯდა გამთბარ კერას:
— ხვალ ბევრ შეშას მეც დავჩეხავ,
შემოვიტან ღერა-ღერა!
ხვალ დავბარავ, ხვალ გავთოხნი,
ხვალ გავრეცხავ, ხვალ გავკერავ,
ხუთიანებს ხვალ მოვიტან,
ხვალ ვისწავლი კარგ სიმღერას.
— ყველაფერს ხვალ როგორ შეძლებ?
სწავლას,
შრომას,
რბენას,
ფრენას?
არ გარგია ტრაბახი და

ბაქიობა, ჩემო გელა!
ბრძენი ამბობს: — ბაქი-ბუქა
კაცის ჭკუის გასაფერად:
— კაცი, კვეხნით ბარაქელა,
საქმით არის არაფერა!

აბურდია, ჩაბურდია

ჩვენი გოჭი ზარმაცია:
აბურდია,
ჩაბურდია...
იქით ვედრო გააგორა,
ტაშტი როფში ჩაუგდია.

თივა,
ჩალა,
ყველაფერი
სულ ფეხებქვეშ გაუგია.

სადა წევს და რაში გორავს,
ვერაფერი გაუგია.
თავის სახლი ზარმაცელას
არასოდეს დაუგვია.

— ამ ღორს კარგი სახლი აქვს.., —
ამბობს ჩემი ბებუდია, —
ვუყურებთ და ვერა ვხვდებით,
ტახტი არის,
თუ ბუდეა?

შიგ უყრია ნაჭუჭები,
თხილი, წაბლი, ნაქურჩელი!
— ღრუტ —
— ღრუტ —
ღორმა, —
— ამ ქონებას
ერთი წელი ვაქუჩებდი!
ამ ბურდში მაქვს ჩამალული
ეს დრუნჩიც
და ფაჩუჩებიც.

ვკვნესი, ვიდრე არ გავთბები,
გავთბები და გავყუჩდები!
ნუ მეძახით, პატარებო,
აბურდია,
ჩაბურდიას,
აბა რა ვქნა, მეც თქვენსავით
ბებიები არ მფუთნიან. —

ეცინება მზიას: ბიჭო,
მაგის ბებო ცხრა ფუთია!

ღია-ღუა

ღია-ღუა, ღია-ღუა
ხეს ვაშორებ ჭიაღუას,
ბეღურა ვარ, ბაღის ჩიტი,
ჩემი სახლი წიფლის ღრუა...
შიგ ბარტყები ჭიკჭიკებენ,
ჩემი ბუდე განა ყრუა?

ასი ბუზი დავიჭირე —
ყანის თავში დიდი რუა...
ღია-ღუა, ღია-ღუა,
ჩემი სახლი წიფლის ღრუა...
ხეჩიტასაც მეძახიან
ღუ ბუჩქი და სოკო ღუა...
ღია-ღუა, ღია-ღუა,
ხეს ვაშორებ ჭიაღუას...

ლილი და სავარცხელი

დიდი, დიდი საყვედური
უნდა გითხრა, სავარცხელო:
კი არ მვარცხნი, თმას მაწიწკნი,
სულ მატირებ და მარცხვენო.
სავარცხელი გაუჯავრდა:
— ნუ ხარ მუდამ დაღრუბლული,
ყოველდღე რომ არ ივარცხნი,
თმაც მიტომ გაქვს დაბურდული.
რატომა გაქვს ბირკა თმებში,
არის მართლაც გასაკვირი,
მაგ აბურდულ თმების ვარცხნამ
ჩამიმტვრია სამი კბილი!

— უი, მართლა ჩაგიმტვრიე? —
და სავარცხელს სინჯავს ლილი.
— ძლიერ მინდა, სავარცხელო,
რომ ჩაგისვა ყველა კბილი!

ბიჭი და ხბო

ჩვენს ეზოში ხასხასა
კოინდარი ბიბინებს...
მე და ბუსკამ ვიგორეთ,
შიგ მთელი დღე ვირბინეთ.

არც ფეხს გვტკენდა,
არც გვერდებს
ბალახების სირბილე,
არ გვაკლებდა მთელი დღე
კაკლის ჩრდილი სიგრილეს.

დაღლილები საღამოს,
აგანგალა-განგალა...
ბუსკა დედამ გალოკა,
მე დედიკომ დამბანა...
ახლა თვალს არ ვაშორებ
ვარსკვლავების წვრილ მძივებს,
ბუსკა ხის ქვეშ დედასთან,
მე ლოგინში ვიძინებ.

ჩემი შვილიშვილები...

ჩემმა შვილიშვილმა — მედეამ,
ჩემმა შვილიშვილმა — ლიდიამ,
ვარდები მომართვეს ედემის
და ახლა იებზე მიდიან...
— არა!

ნუ წახვალთ, პაწიებო,
ტყეში
ტურებია,
მგლებია...
...ვიდრე არ გახდებით არწივები,
მგლების გეშინოდეთ, ბებია!!!

წუწკი კატა

ბებოს თევზი შეუსანსლა,
თევზი მიტომ არ არისო!
ბებოს ყველი შეუსანსლა,
ყველი მიტომ არ არისო!
ბებოს ძეხვი შეუსანსლა,
ძეხვიც მიტომ არ არისო...
გამაძღარი წუწკი ფისო
ნეტავ ახლა სად არისო?!
ალბათ სხვენზე იმალება,
არ ვეინახავს არავისო!
თუ ვიპოვეთ, დავიჭიროთ,
ღირსი არის სარდაფისო.

ციცქნა დრუნჩას ყველაფერი!

ნაჯიხოუს უღრან ტყეში
ხე რომ მოჩანს დიდი წიფლის,
მის ქვეშ ბელი დაიბადა,
რა ბელია! იფ, იფ, იფ, იფ!

შავი, შავი თვალები აქვს,
თეთრზე თეთრი ოთხივ თათი,
აქებს ბებო დათვი — ბოცო
და ბაბუა — დრუნჩა დათვი:

— ამისთანა შვილიშვილი
ნეტა გვყავდეს ბარე ათი!
ყოჩაღად გვყავს ციცქნა ბელი,
კარგადა გვყავს დედა დათვი!

დელი-დელი, დელი-დელი,
ჰა, მოვიდა მამაც ბელის!
კანფეტებიც,
შოკოლადიც,
მოუტანა შინდიც ბევრი!..
მოუტანა წინდაც ჭრელი,
მოუტანა ჭრელი ბურთიც!
ახტა ბურთი: — ჰერი, ჰერი,
რაც კარგი და ლამაზია,
რაც კარგი და მშვენიერი,
რაც ტკბილი და გემრიელი:
თხილი,
წაბლი,
პანტა, მოცვი
ციცქნა დრუნჩას ყველაფერი! —

ეს რომ ციყვმა გაიგონა,
განზე გადგა თვალებსველი...
— მე იმდენი მაინც მარგეთ,
რომ წავიღო სახლში ხელით!

გეპატიჟებით სოფელში

მზე დაგვყურებს მაღლა ციდან
ცხრათვალა და ალისფერი,
ნაკადული, ტყე და წყარო
ჩემს სოფელში არის ბევრი.

ჭრელაჭრულა ყვავილებით
სავსე არის ტყე და კორდი,
თეთრი ია,
ლურჯი ია,
ღელე-ღელე ბევრი მოდის...

ლამაზად და კოხტად მოჩანს
სოფლის გზაზე ხეთა მწყობრი,
ჩემი სოფლის ტყე სავსეა
ჩიტით, გვრიტით, ქორით, ორბით.

გავთოხნეთ და გაიზარდა,
გაუმაგრდა სიმინდს ძირი,
სამწყემსურში ქოხიც დავდგით,
გადავხურეთ ნედლი გვიმრით.

შენ გვესტუმრე ოღონდ, გია,
არ მოგაწყენთ მასპინძლობით,
ერთი-ორი თვით კი არა,
სულაც დარჩი ჩვენთან წლობით.

აზა და მისი ყვავილები

ბაღში გრილი ნიავია
დაფოფინებს სიო ნელი.

ჩურჩულებენ ყვავილები:
— დაილოცოს აზას ხელი.
— მე გამკრიჭა!
— მე გადამრგო!
— მე ამაჭრა ლერწი ხმელი!
— მე გვალვაში წყალი მასვა! —
აზა არის ჩემი მხსნელი!
— მე კოკრები გამისწორა!
— მე ამაკრა მესერს წნელით!
— ჩემი თესლი შეინახა,
რომ მოვიდე გაისადაც...
— ჩემი ტოტი გადაწინდა,
ერთი ძირი გამისამდა!
— ირგვლივ მიწა მოგვითოხნა,
მოგვაშორა ბალახები,
გავიფურჩქნეთ ვარდები და
გავიშალეთ ზამბახები!..
უშურველად ახლა ჩვენს თავს
ვის არ უძღვნის,
ვის არ ატანს?..
ბრძოლის გმირებს,
შრომის გმირებს,
კომპოზიტორს,
პოეტს,
მხატვარს!..
სიხარულით ჩვენი თავი
ყველას, ყველას უთავაზა
და თვითონაც უდგას სახლში
ყვავილებით სავსე ვაზა.

ჩემს საქართველოს ვუმღერი

მე
ჩემს
სამშობლოს ვუმღერი,
ლამაზს, მთვარიანს, მზიანსა!
წითელ-ყვითელი სხივების
ცისარტყელებად ბრიალსა!
ვუმღერ მუხნარს და თელიანს,
იფნარს, დაფნარს და ბზიანსა!
ფშავ-ხევსურეთის ჭიუხებს
და თუშეთს ახალგზიანსა!
სვანურ კოშკებს და მწვერვალებს —
თეთრი ჯიხვების ზიარსა!
ვუმღერ ჩემს ლამაზ მთას და ბარს
ყანებიანს და ზვრიანსა!
ტყეებს ცივწყაროებიანს,
კოლხეთს ლურჯთვალა მზიანსა!
ლიახვს — დიდგორზე მომღერალს
და კახეთს ალაზნიანსა!
ვუმღერი ბულბულებით და
ირმებით სავსე ტყიანსა!
სამურზაყანოს, ენგურჰესს,
ჯვარზენს — ენგურის ზღვიანსა!
ძველი ჰესების მაღალ ძმას —
სინათლის ახალ ფრთიანსა!
ვუმღერი კაშკაშს ვარსკვლავთა,
ცისფერ ნისლების ფრთხიალსა!
მთაწმინდის,
მცხეთის,

არმაზის
და საგურამოს ნიავსა!
პატარძეულის ზამბახებს,
თეთრი ზედაზნის იასა!
ყვარელის მთების სუროებს,
წინანდლის ვარდს და სვიასა!
მარტვილს,
გრემს,
გელათს,
მცხეთის ჯვარს,
სხვიტორს და ყინწვისს მზიანსა.
ჩემს დედა თბილისს ვუმღერი
დედა ხოხობის ხმიანსა!

ვერ წამიყვალ ქალაქში

ათასფერა ყვავილს ვნახავ,
ხბოც გამართობს თამაშით.
ეს კვახებიც ბურთებივით
გორაობენ ყანაში.
ყველაფერი ეზოში მაქვს:
ვაშლი,
მსხალი,
ატამი.
კვერცხს რომ დადებს, კაკანით
მაგებინებს ქათამი!

გოჭიცა მყავს, თხა-ბეკეკაც,
კვიციცა და ბოჩოლაც,
წყარო?

წყაროც ზედა ეზოს
გვერდით მოხტის,
მოჩქროლავს!
ზოოპარკი მე ტყეში მაქვს,
ბაჭიები დახტიან,
დათუნიას მორზე სძინავს —
მორი მისი ტახტია!
დაცუნცულებს, ჩვენს ტყეებში
მელაკუდა მელია,
კუდის წვერი უნდა წავჭრა,
რადგან ცოტა გრძელი აქვს.
ირმებიც გვყავს, შვლებიცა გვყავს,
გვყავს ნუკრიც და გვყავს ბელიც...
გუშინ მაჩვი დავიჭირეთ,
გამოვაბით საბელი.
ჰოდა, ვილას შეგაჯიბროთ,
ჩემო ქალაქელებო?..
მე ქალაქში ვერ წამოვალ,
თქვენ კი... როგორც გენებოთ...
იქ სოფელი თუ არა გაქვთ,
ჩემს სოფელში მოგელით...
მე, ბატონო, ორივ აქ მაქვს
ქალაქიც და სოფელიც!

ბიჭვინთის ავტომატარებელი

ბიჭვინთის ტყე შრიალა,
ბიჭვინთის ცა კრიალა,
ბიჭვინთის ზღვა კამკამა,
ბიჭვინთის მზე ბრიალა.

— უჰ, რამხელა სახლები,
ნაძვები და ფიჭვები...
ნაძვებზე და ფიჭვებზე
უჰ, რამდენი გირჩები...
„ავტომატარებელით“
დავსრიალებთ ბიჭები.
ყოველ გაჩერებასთან
ძია მძღოლის ხმა ისმის:
— გაჩერება — „კოლხეთი“
„ბზიფი“,
„ოქროს საწმისი“,
„ივერია“,
„ათონი“
და იღება კარები:
ამოდიან,
ჩადიან
უბილეთო მგზავრები...
ძია მძღოლი ზემოდან
სიყვარულით დაგვყურებს:
— დავატარებ უფასოდ
თქვენისთანა კარგ სტუმრებს.

აცხა-ბაცხა

აცხა-ბაცხა,
აცხა-ბაცხა,
აცხა-ბაცხა,
ბაცხა...
იცით? იცით?
ლიდას კუდგრძელ

კატას სძინავს სადღაც.
მივეპაროთ,
დავიჭიროთ,
დავუნგრიოთ ფაცხა...
— გაგვიგებენ,
მაგ თევზის ქურდს
ჰყავს ძაღლების დაცქა.

ერთგული მეგობარი

ცხელზე ცხელი სხივები
დამაცხუნა ზაფხულმა,
დიდი ფარფლებიანი
თეთრი ქუდი მახურავს,
ზღვაში როცა შევდივარ,
ქუდს დარაჯობს ბახულა.

მ ე ბ ა დ უ რ ი

ობობამ ბადე მოქსოვა,
ბოსტნის ღობეზე გაფინა.
კოღო გაება,
ბაჭიას
საკბენად ველარ გაფრინდა.

წელს შავ ზღვაზე ვისვენებდით

მე და მამა,
მე და დედა
წელს შავ ზღვაზე ვისვენებდით,

მაღალ გემებს,
თეთრ-თეთრ გემებს
წინ ვუსწრებდით გლისერებით...
რას მიჰქროდა —
ბიჭოს!
ბიჭოს!
მიაპობდა ტალღებს მკერდით,
ჩვენს კაპიტანს გერბი ჰქონდა
მოხატული ოქრომკედით...
როგორც კარგი თანაშემწე,
მეც ვიჯექი იმის გვერდით.

მე და ტალღა

ნელა, ნელა, მთებად
მიდი-მოდის ტალღა,
ჩამაქანა დაბლა,
ამაქანა მაღლა.
ავყევი და ჩავყევი,
არ მიგრძნია დაღლა.
— როგორ გათამამდი
გუშინდელი ღლაპი! —
ჩამაყლაპა წყალი
ერთი-ორი ყლაპი...
შემეშინდა, მერე
მოვაშურე ნაპირს.
ახლა ბრაზით ტალღა
რიყეს ახლის თავ-პირს.

ღათუჩები უმთვარო ღამეში

დათვმა უთხრა თავის ბელებს:
მოვერცხლილი მთვარე
უკვე ზღვაში ჩავიდა და...
შინ მოდითო მალე.

მოდით, სორო გავანათოთ,
სომ ხედავთ, რომ ბნელა,
თითო მკლავი ჩალის ღერი
მოიტანეთ ყველამ.

მოიტანეს ჩალაბულა...
იწვის, როგორც კვარი...
შემოუსხდნენ მაღალ კოცონს,
რას დააკლებს ქარი!

— ზღვაში მთვარე რად ჩავიდა? —
უკვირთ დათვის ბელებს.
— ტანს დაიბანს,
თევზს დაიჭერს
და ამოვა მერე.

დედა ჭიანჭველა

მარწყვს ახურავს ტოტი გვიმრის,
ნაკადული თავქვე მიდის,
ჩიტს ბალახის ხმელი ღერო
მიაქვს ცაში, როგორც მორი...
ჭიანჭველა გმირთა-გმირი
სახლში მიდის

სავსე ტომრით.
— რა უწყვია ტომარაში?
— ნამცეცები
მჭადის,
პურის,
შაქრის ფხვნილი,
კოწახური...
შემწვარი და მოხრაკული...
ატმის გული,
ნუშის გული...
აი, დედა ჭიანჭველა
თავის შვილებს როგორ უვლის!
— კარგი დედა ის არისო, —
მიაშვირა ყველამ თითი, —
შვილებიც მის შვილებს ქვია, —
ჩამოართვეს დედას ტვირთი.

სოფელ ხუნწში

ხუნწს დაჰყურებს დიდი მთები
ობოდირი,
ტაბაკელა...
ვორაკები ფეხმორთხმული
მოლზე სხედან დაბლა ყველა.
ხევს მოჰყვება ცხენისწყალი,
მოაცილებს დიდი მთები,
ნაპირ-ნაპირ ჩაუშლიათ
ჩანჩქერს — წვერი,
ტირიფს — თმები.
„ნაჯიხოუს“ იელების

რა ბრიალა შუქი ელავს,
თითქოს წყალს სვამს, ჭაში თავი
ჩაუყვია ცისარტყელას,
იქით ჩაის პლანტაცია,
აქით ლურჯი ყანა ღელავს.
სჯვენს მთელი დღე
შავ თუთაზე
ჩიტი ენაჭიკჭიკელა...
რა ლამაზი ოფოფია,
არ დააფრთხო, ბიჭო, ნელა...
ბოჩოლები,
ბეკეკები
გაფანტულან მინდორ-ველად.
მწიფე ნაყოფს ყველა ტოტი
გზაში გამვლელს უწვდის ყუნწით,
აი, ასე მდიდარი და
გულუხვია ჩემი ხუნწი.

ჭ ი ა მ ა ი ა

ყვითელკაბა პეპელა
შეხვდა ჭიამაიას;
ჰკითხა:
— ხომ არ იწვიმებს,
მითხარ, ჩემო დაია...
— თუმც ამინდის ცნობათა
ბიუროში არ ვზივარ,
გაზონებში,
სკვერებში,
ყვავილებში გავზრდილვარ,

მაგრამ ხვალის ამინდზე
მუდამ ჩემი აზრი მაქვს...
— არ იწვიმებს, რიფიფსაც
წითელ კაბით დაეცინავ...

დათვი გიგოს ყანაში

დათვმა გიგოს ყანაში
ასი ტარო გაფურჩნა,
გაჯუჯგნა და დაყარა
ცარიელი ნაქურჩა.
გამოძღა და ბურდღუნებს:
— მე ტარო და თაგვს ფურჩნა,
ჩალა — ძროხას,
ღრუტუნას —
ცარიელი ნაქურჩა...
...გიგოსთვის კი დათუნას
ერთიც აღარ გადურჩა.

ალიცანცალი, მალიცანცალი

ალიცანცალი,
მალიცანცალი,
კაკლის ქვეშ ყვავი
დადის ცანცალით...
ძირს ჩამოყრილი
კროლა რაც არი —
არის ცხრა ცალი...
შვილებს შეხვდებათ
ზუსტად სამ-სამი, —

შემოხვდებიან
ფრთების სავსავით,
ელის ყვანჩალას
სამი ყრანტალა,
ენატანტალა,
ყველა შავტანა...

ზარმაცი

მთიდან წყარო მორაკრაკებს,
კიდევ უფრო რეცხავს თეთრ ქვას,
ბუჩქში შავი შაშვი გალობს,
ხიდან მესმის კვირტის ფეთქვა,
ზარმაც გოგოს კი არ ჰგვანან, —
დღეს რომ ერთი ლექსიც ვერ თქვა.

საყურეებიანი კატა

ერთი მე,
ერთი შენ,
ერთი მზიას,
ერთი გიას,
ორი მე,
ორი შენ,
ორი მზიას,
ორი გიას...
გაიყვეს და
მწიფე ბალი
შინისაკენ

ყველას მიაქვს...
— მიავ,
მიავ,
მიავ,
მიავ,
დაიკნავლა ფისომ გვიან.
ამნაირი მეგობრობა
მე არსად არ გამიგია.
...და ბავშვებმა ფისუნასაც
ჩამოჰკიდეს კუნწულები.
— კატას საყურეები აქვს, —
იცინიან წრუწუნები.

მე და ჩემი ნამგალი

იცი, რა ნამგალია?
საოცარი მჭრელია,
ასე მარჯვე ნამგალი
ჯერ ხელში არ მჭერია...

...ვთიბავთ, ვთიბავთ ბალახებს,
მე და ჩემი ნამგალი...
კვლავ ამოდის და სულ გვაქვს
სათიბი და სამკალი.

რაც სოფელში ჩავედი

გალვიძებას ვერ მასწრებს,
ვერც ჩიტი, ვერც მამალი,
ვერც კიკინა თიკანი,
ვერც ნიავი ფრთამალი.

რაც სოფელში ჩავედი,
ვცხოვრობ სულ სხვა ცხოვრებით:
ხან მწყემსი ვარ ღორების,
ხან მწყემსი ვარ ხბორების...

ვატკაცუნებ ხელთოფას,
შევაჯერე გორები,
ვერ სტაცებენ ბებიას
ჭრელ ვარიებს ქორები!

ფისო მთვარეზე

მთვარეზე რომ ვადმოსვეს,
ფისუნია განრისხდა:
— აქ რა გამაძლებინებს,
სუნი არ მცემს თაგვისა. —

დაჰკრა თათი რაკეტას და...
გადიგრიხა ულვაში:
— გასწი! თაგვი ამომიყვა,
იქ ზის, ბებოს ხულაში.

ქაფის გოგო

მაბანავებს ბებია.
— უჰ, რა თბილი წყალია...
ღამის ერთი საპონი
სულ მე გადამალია...
თურმე საპნის ქაფშიც
კარგი დასამალია...

ქაფში მეძებს ბებია:
— გოგო ამქაფებია,
ქაფის გოგო,
სად ხარო?
მაინც მნახა ბებიამ.

პატარა მწველავი

მარილს ვაჭმევ ჩემს ფუჯიას,
ჯიქანქვეშ სათლს დავუდგამ...
ჩხრ... ჩხრ... ჩხრ... რძე ჩაიმღერებს,
ძროხის წველას რა უნდა?

ძროხის წველას რა უნდა,
ზარმაცს თვალი დაუდგა...
დამდგარა და მიყურებს
პირაღია ალუდა.
რძეს მივართმევ, არ უნდა?

დედა ჩიტის სიმღერა

ჰა, თუთა და ჰა, ბალი!
მალე მოვა მაყვალი:
მარწყვს და თუთას მოყვება
ბაღში ხილი მრავალი...

მერე სურო-კუნელით
აივსება მთა-ბარი...
მერე შრომა, შვილებო,
დღეს ეს არის მთავარი!

საახალწლო ზეიმი

საახალწლო ზეიმი
გაუმართავთ თაგუნებს:
ზოგი უკრავს გიტარას,
ზოგიც დოლს უბაგუნებს..

დედა თაგვი ტაბაკით
თაფლის კვერებს არიგებს,
მათი ცეკვა-სიმღერა,
ფისუნებმაც გაიგეს.

ეწვივნენ და შესძახეს:
— ჩქარა კარი გაგვიღეთ,
თორემ, რაც მოგიტანეთ,
ისევ უკან წავიღებთ.

მამა თაგვმა გასძახა:
— მეკვლედ აღარ გვინდიხართ,
კარებს როგორ გაგიღებთ,
კარგად ვიცით, ვინც გდიხართ,
არ გრცხვენიათ? ახალ წელს
სხვასთან სამტროდ მიდიხართ!

ს უ რ ო ბ ა ლ ა

როგორ ბარდნის,
როგორ ცვივა,
ფთილა-ფთილა ფიფქები,
ჩემი გედისყელა ციგით,
გზას სრიალით მივყვები.

— ჩუ, ჩუ... შაშვის ჭახჭახია
სუროიან თხმელაზე,
ეს თხმელის ხე ამ სოფელში
მაღალია ყველაზე. .

შიგ ჩიტები შეყუჟულან,
სტვენა და ფრთხიალია,
კენკენ მწიფე სურობელას —
სურო — ჩიტის ბალია.

ზაფხულობით ჩვენს ბალს ჭამენ,
თეთრ ბალს, შავ ბალს, ალუბალს...
— ჩიტს ზამთარშიც უმწიფს ბალი? —
უკვირს ციცქნა ალუდას. —

— სურობალას როგორ შევჭამ?
სურო ჩიტის ბალია,
თოვლში რომ მწიფს, ალბათ მიტომ
არის მწარე ძალიან...
რომც დაშაქრდეს, სურობალა
ჩიტებს არ გაეყოფათ...
ბავშვებმა რომ შეუჭამონ,
მათ ხომ აღარ ეყოფათ.

ავისრულებ ნატვრასა

მღერის ფისო პატარა,
ფისო ბრჭყალებბასარა:
— წაბლი,
თხილი,
კაკალი
ფისოს მაქვს და თაგვს არა!
თაგუნია, გამოდი,
გაჭმევ თხილს და კაკალსა. —
აწრიპინდა თაგუნა
წუწუნა და კაპასა:

— თაგვი წინ დაგისკუპდე,
შენ კი გინდა კატასა!
მიჯობს, ვიჯდე მშიერი,
შენს ბრჭყალებში კანკალსა,
მაგრამ თუ ჩაგეძინა,
ავისრულებ ნატვრასა:
თითო-თითოდ აგაცლი
თხილს, წაბლსა და კაკალსა...
კუდზე ეჟვანს შეგაბამ
და ულვაშსაც წაგპარსავ.

ლიდა და ლურჯი ია

აი ია, აი ია,
ამოსულა ლურჯი ია...
იას მისებრ ლურჯბაბთება
ციცქნა გოგო მიჰპარვია...

ამოხედა იამ გოგოს
და ბაბთები შეარხია:
— მე ია ვარ, ლურჯი ია,
ციცქნა გოგოვ, შენ რა გქვია?

— მე ლიდა ვარ, ჩემო ია!
თუმცა მარტი გაზაფხულობს,
მაინც ცივა და მსურს, თავზე
თბილი ქუდი დაგახურო!

იამ ლიდას მოტანილი
დაიხურა ქუდი ფოთლის...
ზეციდან კი თითქოს ცრისო,
თოვლი, მოდის, თოვლი მოდის...

რა კარგია!

ამოვედი ღობის ძირას
ხასხასელა ბალახი,
გავიხარე
კაცის,
ჩიტის,
ცის და სოფლის დანახვით.

მიხარია, რომ გავცოცხლდი
და სიცივით არ გავხმი,
მიხარია, რომ მახურავს
ტყემლის თეთრი ფაფახი.
მიხარია, არემარე
ათასფერად ნაქარგი,
ამ ქვეყანას მეც რომ ვამკობ,
რა კარგია,
რა კარგი!

ეზეს თეკვენ ყუვარხართ,
გავგვეგო!

მეკითხება მედეა

მეკითხება მედეა:
— ეს რა ჩიტის ბუდეა?
— ეს ბულბულის ბუდეა —
საქართველოს ბულბულის,
მოქსოვილი ასკილზე
თივითა და ბუმბულით!

ბულბული კი, პატარავ,
ის ლამაზი ჩიტია,
სიყვარული ქართველთა
გულში რომ ჩაიტია!..
მთელი ღამე წუხელის
გალობით რომ გითია?

ჩვენი ვენტილატორი

აი, მე და ლიდია
დავრჩით სახლში მარტონი
და დღეს მთელი ოჯახის
ჩვენ ვართ ბატონ-პატრონი.

რომ ჩამოცხა, ოთახში
ჩავრთეთ ვენტილატორი,
თვითონ კონდიციონერს
არ დაუდო მან ტოლი.
ფრთები დააფათქუნა,
სიცხეს დაჰკრა ცხრა ტორი:
— ვისაც შენ შეეყრები,
სულთამხუთავს გადარებს...
გასწი, ჩქარა, აქედან,
ნუ მისიცხავ პატარებს!
სიცხემ ჩაიხითხითა:
— რით ან ვისით დიდგულობ?
შე კედელზე მიბმულო,
დაბმული ხარ, დაბმული,
როგორ უნდა იბრუნო?
ჰოდა... ვენტილატორმა
აქ იხმარა სხვა ფანდი,
ქარი დაატრიალა
არნახული აქამდი.
იტრიალა, იბრუნა
სიმღერით და ღაღადით,
დააყენა ყირაზე
გაზეთი და ქაღალდი.
...გაქრა სიცხე და სახლი
მართლა ისე გაგრილდა,
რომ პატარებს ეზოში
ჩასვლა სულაც არ გვინდა...

ეს გუბე მარტო ჩვენია!

თორმეტი შვილის დედა ვარ,
თორმეტი ვაჟკაც-ლომგულის...
ძროხა ხომ არა გგონივართ,
ერთ კიკინა ხბოს რომ უვლის.
— ღრუტ, ღრუტ, —
ჩვენს მოდგმას ოდითგან
შვილთა სიმრავლე სჩვევია...
ბოჩოლა არ ჩამოვიდეს,
ეს გუბე მარტო ჩვენია!

მერცხლების სიმღერა

მწკრივად ვსხედვართ ანძებზე,
ერთმანეთის მხარდამხარ;
კაპიტანი გულდინჯად
ამოგვხედავს ხანდახან...

დღე და ღამე ანძებზე
ჯდომა არ გვეზარება,
შევსევივართ მაღალ გემს
უბილეთო მგზავრებად.

არსაით ჩანს ხმელეთი,
ირგვლივ ზღვაა ტრიალი...
ეხმარება თეთრ აფრებს
ჩვენი ფრთების შრიალიც

ინდოეთში მივდივართ,
ზამთრის გასატარებლად,

თორემ თქვენი ფისუნა
თათსაც არ გვაკარებდა.

არ იტირო, მედეა,
ჩვენს გემს ღელვა ვერ მოშლის,
მალე ჩამოვფრინდებით
ჩვენს თბილ საქართველოში.

მზეს თქვენ უყვარხართ, ბავშვებო!

მზესა აქვს სხივი იმდენი,
რამდენიც ბავშვია ქვეყნად!
თითო ბავშვს თითო სხივს უგზავნის
თითო ერს — თითო შეკვრას!
და თითო სხივი ზეციდან
ოქროს ზარივით რეკავს!
მზე კვალში მიყვებ-მოყვება
გუთანს, ხარსა და ერქვანს.
მზეს თქვენ უყვარხართ, ბავშვებო,
ცაში გიფანტავთ ღრუბლებს
და სათამაშოდ გასულებს
გიშრობთ ტალახს და გუბეს!
მზე პურს გიმწიფებთ, ბავშვებო,
ალუბალს, ვაშლს და ყურძენს,
მზე თხილს და წაბლს აოქროვებს,
ვარდებს უფურჩქნის ფურცლებს;
რომ შესცივდება ენძელას,
მზე გამოჩნდება უცებ!
მზე ყინულს ალღობს,
თოვლს ადნობს,

მზეს ირმის გული უცემს!..
მზე თქვენს მშვიდობას დარაჯობს,
ორბის თვალებით გმწყემსავთ,
ბეჯითი,
გამრჯე ბავშვები
მზემ ვარსკვლავებზე შესვა!
მზე სხივებს სწორად გტყორცნით და
თქვენც არ იაროთ მრუდად,
მზეს თვალმზიანი დღეები,
ბავშვებო, თქვენთვის უნდა!
ოქროს ნისკარტზე ჰკიდია
მზეს ზღაპრით სავსე გუდა!
მზე გულში იკრავს თქვენს ხუთებს,
ორიანებს სწყვეტს კუდებს,
მზით, თქვენი სიცილ-კისკისით
სავსეა ჩიტის ბუდეც!
თითო ბავშვს თითო სხივს უგზავნის,
თითო ერს — თითო შეკვრას,
მზესა აქვს სხივი იმდენი,
რამდენი ბავშვიცაა ქვეყნად!

ღრუბლის სურათები

ღრუბელს დიდი მუცელი აქვს,
ღრუბელს დიდი კუდი აქვს,
ღრუბელს ზურგი გაებერა
და დრუნჩას ჰგავს გუდიანს...
— გუდიანო დრუნჩა!
გუდიანო დრუნჩა!
მაგ გუდაში რა გიყრია,

წაბლია თუ ფურჩა? —
ასე რომ ეკითხებოდა
ღრუბლის დრუნჩას უჩა,
ღრუბლის დრუნჩა უცბად ღრუბლის
ვარდად გაიფურჩქნა...
ღრუბლის ვარდიც გადაიქცა
თეთრ და მაღალ კოშკად.
კოშკიც გაქრა და მის ნაცვლად
ახლა ციყვი მოჩანს...
სანამ მივეფერებოდით,
ღრუბლის ციყვიც გაქრა...
და მის ნაცვლად გედი გაჩნდა,
ღრუბელმა ეს რა ქნა?
— აუ, ბიჭო, თეთრი გედი
ცის ლურჯ ტბაზე ცურავს! —
მაგრამ გედი კაცად იქცა,
თავზე ქუდი ხურავს...
— ღრუბლის კაცო, ღრუბლის კაცო! —
ვყვირით, ვყვირით, მაგრამ
ღრუბლის დიდი კაციც უმალ
იქცა ღრუბლის აფრად...
...ღრუბლის ღრუნჩა — ღრუბლის
კოშკად,
ღრუბლის ციყვად,
ისევ აფრად,
კიდევ რად არ გადაიქცა,
ვიდრე ციდან მთლად არ ვაქრა.

არ ბერდებიან

ეს ბაბუას მოწეული
ტარო და მტევანია.
იცით, ბაბუ ომისა და
შრომის ვეტერანია!

ეს ბებიას მოწეული
ჩაი და მტევანია,
იცით, ბებო ომისა და
შრომის ვეტერანია!
ფაშისტურმა გერმანიამ
როცა ომი დაგვიწყო,
ბაბუს ბებოც გაჰყვა ომში —
მოწყალების და იყო.

გამარჯვების წითელ დროშით
მტერს ბერლინში შესდიეს —
გაუმარჯოს გამარჯვებულ
ბაბუებს და ბებიებს!

ჩემი კარგი ბაბუა და
ჩემი კარგი ბებია
კვლავ შრომობენ თავდადებით,
ჰოდა, არ ბერდებიან.

ვით მტერს —
მოსულ სიბერესაც,
ისე უმკლავდებიან,
ისე არ ნებდებიან.

დ ე დ ა

მინდა დედის დასატკბობად
შეგისწავლო ლექსთა ბწკარო,
დედა მზეა ჩვენს ოჯახში
და სიკეთის ყველა წყარო!

კარგები რომ გავიზარდოთ,
მუდამ შრომობ, მუდამ წვალობ,
კერის ცეცხლით დადაგულო,
ქვეყნის ცეცხლით გულდამწვარო!

ასე ნატრობს ჩემი დედა,
ჩიტის დედაც ფრთებგაშლილი:
— დედა მაშინ არ იდარდებს,
თუ ივარგებს მისი შვილი!

ქართული ანბანი

ჩემი ქართული ანბანი
აბჯარია და ნაბადი,
რომ მასწავლიდნენ დალოცვილს,
სულს ბულბულივით ვნაბავდი!

ქართულ ასოთა ლამაზად
როცა ვსწავლობდი გადაბმას,
გამომდიოდა სიმღერა
ნათქვამი ათა-ბაბადან!

ვნათობდით ჩვენი ანბანით —
ოცდაცამეტი მნათობით,
სულ თავზე დაგვკაშკაშებდა
გვართმევდნენ, მაგრამ არ ვთმობდით.

ფარნავაზია ჩაქუჩით
მისი პირველი მჭედელი,
პირველი დაფაც ბოლნისის
ტაძრის უკვდავი კედელი!

საქართველოს უკვდავება

ჯაჭვის პერანგგაუხდელი,
რწმენითა და ერთგულებით,
თავდადებით,
თავგანწირვით,
მამულს ბურჯად შედგმულები,

გაუტეხელ სეფე სიტყვით,
კდემითა და ჩაუქობით,
დაჯერებით,
თმენით, ფიცით,
ძლევის ჟინით ჩაუქრობლით,

იავ-ნანით სავსე უბით,
სიფიცხით თუ სიჯიუტით,
არც ერთ ჭირში საქართველოს
ვადაში არ გადავუტყდით!

მამულისთვის დავხოცილვართ,
მამულისთვის გვიმრავლია,
კრწანისს ახლაც მაშინდელი
ხმლების ცეცხლის ბრიალია!

სისხლის მსმელი შაჰი ჩვენს სისხლს
სვამდა, მაგრამ ვერ დალია,

წიწამურთან საქართველო
ვერ მოუკლავს ბერდანიანს!

ვერ წაგვართვეს რჯული, რწმენა,
ვერ წაგვართვეს ტკბილი ენა,
ტყე შრიალებს, ყანა ღელავს,
მტკვარიც თითქოს მიდის ნელა,

და ცხოვრება ჩვენი ერის
დღეს ვულკანად ჩაუქრობლად,
ახლაც სტკივა საქართველოს
მძევლობა და მამლუქობა!..

გადაყივის მზე ცის კიდეს
თეთნულდიანს, მყინვარიანს,
„დედა-ენის“ დიდ დედულეთს
და მამულეთს, დიდ ვარიანს!

საქართველოს ლაჟვარდ-ცაზე
ტაძრებია მილურსმული,
ყველა წითელ ყაყაჩოში
ყივის გმირთა-გმირის სული!

ეს ნიავიც იმ ვაჟკაცთა
თეთრ ჩოხების შრიალია,
საქართველოს უკვდავებას
ვინაც სული შეალია!

დედაენა √

დედაენავ, ერის დედავ,
დედაენავ ქართულო!

წიგნთა-წიგნო,
წიგნთა დედავ,
წიგნო ენაადგმულო.
პაწაწინა ქართველების
მუდამ წვრთნაში გართულო!

ანბან-ანბან სიბრძნით სავსევ,
იით ამოხატულო,
წყაროსთვალა ცოდნის წყაროვ,
წყაროსავით მატულობ.

აშრიალებ ლექსად, ზღაპრად
ქართულ სიბრძნის ყველა ფრთას,
საქართველოს მაღალ ჭერქვეშ
ანთებულო კელაპტრად!

აი, მუხა, აი უთო,
აი, ხუთი ურემი,
ზარმაც ხარებს უჭერენ
შენი აპეურები.

თოვლი დადნა, თოვლი ვალხვა,
ჩიტი-გვრიტი მოფრინდა,
მოიყვანა მაკრატელამ
ვანოს დედა სოფლიდან.
ბიჭო სესე, ჭრელ ჩიორებს
ნუ აშინებ თოფითა.

გიგო, წიგნი წაიკითხე,
ტყუილად გაქვს გადაშლილი,
შეისწავლე „დედაენა“
დიდი გოგებაშვილის!

მოუსმინე ცოდნის მამას,
მოძღვრის წმინდა მოძღვრებას,
და არ გაგიჭირდება
სწორი გზების მოძებნა!

ისეთ ფრენას შეისწავლი,
ესტუმრები მთვარესაც,
თავსაც გაუძღვები და
შენს მშობლიურ მხარესაც.

გაგიმარჯოს ერის დედავ,
დედაენავ ქართულო,
პაწაწინა ქართველების
მუდამ წვრთნაში გართულო!

კ ა ლ მ ა ხ ი

იცით?
ერთი დანახვით
შემიყვარდა კალმახი,
რა ლამაზი ყოფილა,
ჯერ არ მყავდა ნანახი.

ერთ წუთს ვერ ძლებს მიწაზე
წყალში ნახანხალები,
ვარსკვლავებად აყრია
მოწითალო ხალები.

ყინულივით ცივ წყალში
უყვარს ხტუნვა, სხმარტალი,
ყველა თევზზე სწრაფია,
ყველა თევზზე ამტანი.

ყველა თევზზე ლამაზია,
რა ტანი აქვს, რა ტანი!
ლოდებშორის ჩავძვერი,
ტანხატულას ჩავცქერი,
არ ესროლოთ ანკესი,
არ დაუგოთ ფაცერი!

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

მომწვანობს და
მოლორთქოობს
მოლი — მიწის ღიმილობა;
მოგილოცავთ, ღელეებო,
ღიღილობას,
გვირილობას...
მოგილოცავ, მიწავ პირის,
გაზაფხულის წვიმით ბანას.
იობას და
ენძელობას,
კვირტობას და...
ფოთლობანას,
ლერწმობას და...
ბუდეების შენებას და
ბარტყობანას;
ახალ-ახალ მტრედობანას,
ახალ-ახალ მერცხლობანას,
ახალ ცისარტყელობანას,
ახალ ვარდ-ყვავილობანას!
გაზაფხულო! შენი ცვარი
ვერცხლის წვეთად ეცნოს ბალახს!

მომწვანობს და
მოლორთქოობს
ძოლი — მიწის ღიმილობა;
მოგილოცავთ, ღელეებო,
ღიღილობას,
გვირილობას!

ცისარტყელა

ცისარტყელავ,
ცისარტყელავ,
ავიკიდე გუდა;
წამოვაიოე სახრეს ხელი,
შენთან მოსვლა მსურდა.

ხან ფართო გზებს გამოვყევი,
ხან ბილიკებს გრძელსა,
რამოდენა ნაბიჯებს დგამ,
ველარ მოგწვდი ვერსად!

ხანდახან სულ ახლოსა ხარ,
სიხარულით ფრთას ვშლი;
ცალი ფეხი მთაზე გიდგას,
ცალი ფეხი — წყალში...

გეხვეწები, ცისარტყელავ,
მომაცილე დარდი...
აიღე და... ერთხელ ფეხი
ჩემს ეზოშიც დადგი.

წვიმა მღერის

მაღალ ციდან წვიმა
მოიმღერის ნელა:
— ვინც არ შევა სახლში,
დავასველებ ყველას.

ჩემს სოფელში

ჩემს სოფელში წიფობელა
ხილს და ყანას გვიმწიფებს,
მზის სხივები აძლევს თურმე
ხილს შაქარს და სიწითლეს.

დღეს ათენებს ბულბული და
შავი შაშვი გალობით,
სოფელს გულს მეც გავუხარებ
ჩემი კაიქალობით.

ღაჟო წივის

ღაჟო წივის:
— წივ,
წივ,
წივ...
აგერ სახლის,
წინ,
წინ,
წინ...
თეთრი ბალი

მწიფს,
მწიფს,
მწიფს...
ფოთოლს თავზე ვიხურავ,
როცა ძლიერ
წვიმს,
წვიმს,
წვიმს...
ჯამაზის ბალს ვდარაჯობ,
არ ჩავდივარ
ძირს,
ძირს,
ძირს...
ასეთ ერთგულებისთვის —
ვინ არ მომცემს
წილს,
წილს,
წილს?!

თეთრი ბალი

ჩვენს თეთრ ბალს რომ კუნწულებით
დაეხუნძლა ყველა ტოტი,
რასაც შევწვდით, ჩამოვკრიფეთ,
რაც ზედ შერჩა, ჩიტი კორტნის.
ბებო ამბობს: — აბა როგორ,
რატომ ნანობ, გოგო დალი,
ჩიტმაც ხომ უნდა იგემოს
წლის ახალი მოსავალი?!

აჩუ, ცხენო!

შევჯექ ჯოხის ცხენზე,
ვავაჭენე, მერე
ვავიარე ეზო,
ბაღში ჩავიმღერე,
მაგრამ აი, უცბად
შემაჩერა ღელემ.
— აჩუ, ცხენო, ჩქარა,
ჩქარა, ლაგამს ნუ ხრავ,
გამიყვანე გაღმა,
კარგი ცხენი თუ ხარ!

რომ იცოდეთ!

ჩემს მეზობელ ძია დავითს
მურია ყავს ხატულა,
ბომბორაა, ყურპანტურა,
ღობეებზე დახტუნავს;

იმისთანა კბილები აქვს,
რომ იცოდე, ხათუნა,
ერთი რაა, ორი რაა,
ერთად დაგლეჯს ცხრა ტურას.

არ ჩავხედე ჩიტის ბუდეს

ხის ტოტებზე ჩიტუნები,
ბუჩქნარებში ჩიტუნები,
ბუდეები, ბუდეები
სოფლის გულზე მიკრულები.
ბუდეები, ბუდეები —
არც ერთში არ ვიყურები.
აქეთ როცა მოვდიოდი,
დამაბარა ასე დედამ:
— არ ჩახედო ჩიტის ბუდეს,
თორემ სხვაგან გაფრინდება.
მე კი მინდა ჩიტუნებმა
დაამშვენონ ეს სოფელი...
განა ჭრელი ჩიტუნების
დასაფრთხობად ჩამოვედი?

მზია კვირას დაეძებს

ადრე რომ გაელვიძა,
განა მისი ბრალია?
რა ქნას გოგომ, თუ სხვები
ისევ ძილში არიან?
— ჩუ,
    კვირა ძლივს მოვიდა, —
    უთხრა მზიას ბებიამ.
    — ძილს ნუ უფრთხობ, მამიკოს
    ტკბილად ჩასძინებია. —
და პატარა გაჩუმდა,
დაიხურა საბანი,

გადმოხედა ლოგინებს,
ეძებს, კვირა სად არის.
მერე ჩუმად წამოდგა,
სხვა ოთახში გავიდა;
ხედავს, იმ წყნარ ოთახში
სძინავს მარტო მამიდას.
აივანზეც გავიდა,
დილას უთხრა სალამი.
უკვირს მზიას, რომ აქაც
უცხო არ ჩანს არავინ.
გამოიქცა უკანვე,
მოაქვს კარგი ამბავი,
აი, ბებოს ჩურჩულით
გადახადა საბანი:
— გაიღვიძე, ბებიკო,
კვირა არსად არ არი!

ვერ მოვთიბავ

ცვარი ბრწყინავს,
ცვარი ბრწყინავს,
ბალახებზე ცვარი ბრწყინავს,
ამ ჩემს მინდვრებს წუხელ მთვარემ
ოქრო-ვერცხლი დააწვიმა...

ვდგავარ ცელით,
მაგრამ ვხედავ,
მინდვრები თავს იწონებენ...
ვერ მოვთიბავ,
ბალახები
საყურეებს ისწორებენ!

ვერ მიირთმევ...

ტურა შეხვდა ქათამს
ტყეში, ღელის პირას.
— უჰ, რა მსუქანი ხარ! —
შეჭმა დაუპირა.

— შენ ვერ შემჭამ, ტურავ,
ვერ ჩამიგდებ ხელში,
ქათამი ვარ დათვის,
მიტომ ვცხოვრობ ტყეში.

გაიპარა ტურა
ტყიდან დათვის შიშით,
ახლა ქათამს დათვი
შეხვდა პანტის ძირში.

— თუმცა მსუქანი ხარ,
არ მეყოფი ლუკმად.
— მე ვეკუთვნი დიდ ლომს,
კბილს ილესავ უქმად!

გაიპარა დათვიც,
ხევ-ხევ გაიძურწა,
მელა შეხვდა ქათამს,
მიაძახა წუწკმა:

— უჰ, რა მსუქანი ხარ,
ვინ გაგიშვა ველად?..
—შენ სიმსუქნე ჩემი
ტყუილად მოგწონს, მელავ!..

ქათამი ვარ ვეფხვის,
მიფრთხილდება ყველა!
და შენ ვინ მიგდიხარ,
ქურდბაცაცა მელა!..
...გარბის მელა,
ლამის
მოიტეხოს ფეხი...
ვერ მიირთმევ ქათამს,
თუ პატრონობს ვეფხვი!

ჩემს სამშობლო საქართველოს...

მზე კრწანისის, მზე მარაბდის,
მზე საგმიროდ შემართული!
მზე ვარძიის, მზე კლარჯეთის!
მზე ზურმუხტით შეკალთული!
მზე გელათის, მზე მარტვილის,
მზე მთაწმინდის ლექსად თქმული,
მზე დავითის, მზე თამარის!
მზეხათუნი, მზეხატული!
მზე ალაზნის, მზე კოლხეთის,
მზე ვენახად დახლართული,
მზე ოქტომბრის და მაისის,
მზე დროშებით სხივგანთქმული!
მზე — დედამზე, მზე — მამამზე,
მზე — ცხრათვალა, მზე — ქართული,
მზე კაშკაშა ზამთარ-ზაფხულ
გვიოქროებს მთას და მდელოს,
გაუმარჯოს მზისგულიან
ჩემს სამშობლო საქართველოს!

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბალი დამწიფებულა

მე და ბეღურა 7
გავხდი უკვე ბაღელი 7
ფისო . 7
მონადირე 8
ბლის ხე 8
ფალავანი 8
ყანაში 8
მზია 9
ტაში, ტაში 9
ბროლის გოგო გახდები 9
ციყვის ოჯახში 10
ყვავილები . 10
ზურია და ენძელა 11
ყველა თავისებურად 11
მარტი . . 11
ნელი და აბრეშუმის ჭია 12
თხუნელა 12
ტყუპები 12
ერთი ვაშლი 13
წაგბაძავენ ცინდლები 14
*** (გაიტაცა მურიამ...) 14
„აღუ" ჩემი სიმღერაა 14
მურიკელა 14
ბურთი 15
ჩემო პაწია! 15
ეშმაკი თიკანი 15
გია და ყვავი . 16
თაგვი კაკლის გორაზე 16

თოვლის კაცი	16
დათვი შვილიშვილებში	17
გაზაფხულდა	17
ჩემი ციგა	18
გაზაფხული მოვიდა	18
ალაბულა-ალაბულა	19
საქართველო	19
ბროლის ჩურჩხელები	20
ფიფქი	20
ჩაიდანი	20
ხარის ჩივილი	21
დაიჭირეს მელა	21
ჩიტი ღაჟო	21
ჩაიში...	22
ციცუნია ვეღარ ციცობს	22
მურა და მწყემსი ბიჭი	23
რუპუ, რუპუ	24

რა ბებიკო მყავსო!

რვა მარტია, მაგრამ დედას არ სცალია	27
ბებოს სიმღერა	28
დედა კატა და თხები	28
ჩვენი ბებო	29
ძილისკაცი	29
ალიხე, მალიხე	30
ბაყაყია ყიყინაძე	31
რა ბებიკო მყავსო!	31
რა მამიკო მყავსო!	33
თოჯინას დაბადების დღე	33
თეთრი კვერცხი	34
გამომადგა	34
კარტოფილის წიწილები	35
ზოოპარკის კარუსელზე	35
ბებოს გოგო	36
სხვისი კატა	38
ეენახის კაცი	39
ჩემო ბებო	41
კიჟი, კიჟი, კიჟიკელა	42
ჯიუტი ბაჭიები	42
მე ვიზრდები სოფელ ხუნწში	43
როცა დათბა...	46

*** (წყარო, წყარო...) 46
ეს კარგი კაცი გამოვა 46
ზღაპარი 47
თამაშა . . 48
ჩვენ ვეზრდებით სამშობლოს 49
ვის ჰგვანან ნეტავი? 51
ბიჭი ზღაპარში 51
ჩხარელ ბებიას . 52
კურკანტელის სტუმრები 53
ახალკოლხური ნანა 54
მარჯვე წიპა 56
თებერვალი მოსულა 57
ბებიასთან 57
დამეკარგა ფეხსაცმელი 58
ჩიტის ბუდესთან 59
მოცურავე 59
მშიშარა . 60
ჰერი ზღაპარს, ზღაპარსა! 60
მათბობელა ბუხარი 60
დათვი 61
წვიმა და გოგონა 61
მსხლის მურაბა 62

გვიყვარს ჩვენი კარგი სკოლა

ყველა სკოლის ზარი მღერის 65
გვიყვარს ჩვენი კარგი სკოლა 66
სამშობლო რომ ვასახელო . 67
თვლა 68
დიდება . 69
*** (ნეტავი ჩემს დაიკოს...) 69
დღეს ძალიან გამახარეს 69
ვინც დედ-მამას ეხმარება... 70
წიგნი მიყვარს 71
ჩხიკვის დამალული თხილი 72
ია . 72
კნაწაკნუწი 73
მანქანა ვარ იატაკის 73
მოვიდა წელი ახალი 74
ტყე . 74
თხუპნიებს . 75
თაგვის საბანი 76
სურამელა 76

გია და ბლის ხე	76
მარწყვი გემრიელია	77
შვილო, შენი მორთმეული...	77
სამშობლოს — საქართველოს!	78
არაფერა-ბარაქელა	79
აბურდია, ჩაბურდია	80
ღია-ღუა	81
ლილი და სავარცხელი	82
ბიჭი და ხბო .	83
ჩემი შვილიშვილები	83
წუწკი კატა .	84
ციცქნა დრუნჩას ყველაფერი!	84
გეპატიჟებით სოფელში	86
აზა და მისი ყვავილები	86
ჩემს საქართველოს ვუმღერი	88
ვერ წამოვალ ქალაქში	89
ბიჭვინთის ავტომატარებელი	90
აცხა-ბაცხა	91
ერთგული მეგობარი	92
მებადური	92
წელს შავ ზღვაზე ვისვენებდით	92
მე და ტალღა . .	93
დათუჩები უმთვარო ღამეში	94
დედა ჭიანჭველა	94
სოფელ ხუნწში	95
ჭიამაია . .	96
დათვი გიგოს ყანაში	97
ალიცანცალი, მალიცანცალი	97
ზარმაცი	98
საყურეებიანი კატა	98
მე და ჩემი ნამგალი	99
რაც სოფელში ჩავედი	99
ფისო მთვარეზე	100
ქაფის გოგო	100
პატარა მწველავი	101
დედა ჩიტის სიმღერა	101
საახალწლო ზეიმი	102
სურობალა .	102
ავისრულებ ნატვრასა	104
ლიდა და ლურჯი ია	104
რა კარგია!	105

მზეს თქვენ უყვარხართ, ბავშვებო!

მეკითხება მედეა	109
ჩვენი ვენტილატორი	109
ეს გუბე მარტო ჩვენია!	111
მერცხლების სიმღერა	111
მზეს თქვენ უყვარხართ, ბავშვებო!	112
ღრუბლის სურათები	113
არ ბერდებიან	115
დედა	116
ქართული ანბანი	116
საქართველოს უკვდავება	117
დედაენა	118
კალმახი	120
გაზაფხული	121
ცისარტყელა	122
წვიმა მღერის	123
ჩემს სოფელში	123
ღაჟო წივის	123
თეთრი ბალი	124
აჩუ, ცხენო!	125
რომ იცოდეთ!	125
არ ჩავხედე ჩიტის ბუდეს	126
მზია კვირას დაეძებს	126
ვერ მოვთიბავ	127
ვერ მიირთმევ...	128
ჩემს სამშობლო საქართველოს...	129

Ствилия Лидия Васильевна

ЛЮБИМЦЫ СОЛНЦА

(На грузинском языке)

Художник З. Денсадзе

Детгиздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1990

ს. ბ. № 2445

უმცროსკლასელთათვის

რედაქტორი ე. კუბლაშვილი
მხატვარი ზ. დეისაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი
ტექნიკური რედაქტორი მ. გოგოლაძე
კონტრ.-კორექტორი მ. ლაღაძე
კორექტორი ა. ჭიჭინაძე
გამომშვები ლ. თავართქილაძე

გადაეცა ასაწყობად 7.02.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.06.90. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. გარნიტური ლიტ. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,90. საბ. ქაღალდი № 1. საღებავგატარება 8,37. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 4,86. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 114.

ფასი 25 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, კ. გამსახურდიას გამზირი, 28.

Издательство «Накадули», Тбилиси,
пр. К. Гамсахурдиа, 28.